„ა(ა)იპ“ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თეონა კოჩალიძე

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის 70-90-იან წლებში

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომი

სპეციალობა: ისტორია History

თემის ხელმძღვანელი: ტარიელ ებრალიძე

პროფესორი

ხიჭაური-2020

ანოტაცია

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს აღმოსავლეთიდან ირანი, ჩრდილოეთიდან რუსეთი, დასავლეთიდან კი, ოსმალეთი მოევლინა დამპყრობლად. ოსმალეთმა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მოგლიჯა საქართველოს და თავისი იმპერიის ნაწილად აქცია. დაიწყო „ოსმალობის პერიოდი“, რომელიც მე-19 საუკუნის 70-იან წლების ბოლომდე გრძელდებოდა. ოსმალეთმა პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ფაქტორებით აიძულა ქართველი მოსახლეობა ორ-ნახევარი, სამი საუკუნე ეცხოვრა მის უღელქვეშ. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი არასდროს არ შერიგებია უცხოელთა ბატონობის ქვეშ ყოფნას. მართალია, იძულებით მიიღო მაჰმადიანური სარწმუნოება, მაგრამ საკუთარი ეროვნული მეობა და სულიერი ყოფა კი არ დაუკარგავს. ამასთან ერთად შინაგანად გულანთებული იყო საქართველოს სულიერი ერთობის იდეით და იბრძოდა კიდეც, ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, ოსმალთა ბატონობისგან თავის დასახსნელად.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისთანავე, კი, უამრავმა პრობლემამ და ქართველი ერის ისტორიაში დიდმა ტრაგედიამ იჩინა თავი, ეს იყო ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, რაც ძირითადად ოსმალეთის და რუსეთის იმპერიათა გამიზნული და მზაკვრული პოლიტიკის შედეგი იყო.

Annotation

From the second half of the 16 th century, appeared to be the conqueror of Georgia, Iran to the east, Russia to the north, and the ottomans to the west. The ottomans annexed the southwestern part of Georgia and made it part of their empire. The "Ottoman period" began, which forced the Georgian population to live under its rule for three centuries due to political, economic and religious factors. Nevertheless, the Georgian people have never reconciled themselves to being under foreign rule. It is true that it was forcibly converted to the Muslim faith, but it did not lose its national identity and spiritual existence. At the same time, it was internally encouraged by the idea of Georgia's spiritual unity and fought for national independence to free itself from Ottoman rule.

With the end of the Russo-Ottoman War of 1877-1878, a great problem and agreat tragedy appeared in the history of the Georgian nation, this was a great deportation of Georgian Muslims to the Ottoman Empire, which was mainly the result of the deliberate and insidious policies of the Ottoman and Russia empires.

სარჩევი

შესავალი---------- 5-7

წყაროები და ისტორიოგრაფია----------8-12

თავი I.რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში----------13-20

თავი II. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოს დაბრუნება----------21--32

თავი III. მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ----------33-46

თავი IV. პორტო-ფრანკო ბათუმში---------- 47-51

დასკვნები---------- 52-53

გამოყენებული ლიტერატურა---------- 54

შესავალი

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა მე-18 საუკუნის 50-იანი წლებიდან, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მოახერხეს აჭარის მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანება, აქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩუმად მაინც ინახავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, ბევრი მათგანი ეკლესიებშიც დადიოდა. აჭარის მოსახლეობა გმირულად და თავგანწირვით იბრძოდა, თავისთავადობის შენარჩუნებისთვის, ქრისტიანობის და ქართული ენის გადარჩენისთვის.

მე-19 საუკუნეში თავისებრივად ახალ პირობებში მიმდინარეობდა ქართველი ხალხის ბრძოლა, ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. პატრიოტული ინტელიგენცია რუსეთის ძალას უკავშირებდა, ისტორიული მიწა-წყლის გამოხსნას, ოსმალთა ბატონობისაგან.

მართალია, ამ შემთხვევაში საქართველოს ეს ნაწილი ერთი დამპყრობლისგან მეორეს ხელში გადადიოდა, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში თავისთავად პროგრესული აქტი იყო.

აღნიშნულ პერიოდში, თავი იჩინა დიდმა ტრაგედიამ, მუჰაჯირობის სახით, არც ერთ შემთხვევას, არც ერთ ბარბაროს დამპყრობელს არ მიუყენებია იმდენი ზარალი საქართველოსთვის, რაც აღნიშნულმა პროცესმა მოუტანა.

აღნიშნული საკითხი ჩვენთვის იმიტომაა აქტუალური, რომ ამ მოკლე პერიოდში რეგიონში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს. თავი მოვუყარეთ რიგ საკითხებს, რომელთა ახლებურ შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო დრომდე ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თემის მიზანი. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს აღნიშნული პერიოდის, სამხრეთ-დასალეთ საქართველოს ის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. რასაც საბოლოოდ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება მოჰყვა.

სიახლე და მნიშვნელობა. სამაგისტრო ნაშრომში ვეხებით ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. 70-90- იან წლებში, კერძოდ, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება, რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში, მუჰაჯირობა და პორტო-ფრანკო, რომელიც დროის ამ მოკლე მონაკვეთში ხდება. ყოველივე ამის ერთად წარმოჩენა ძალზე მნიშვნელოვანია რიგი დასკვნების გასაკეთებლად.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, წყაროები და ისტორიოგრაფია, ოთხი თავისა და დასკვნებისაგან. ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში - დასაბუთებულია თემის აქტუალობა, განსაზღვრულია მიზანი, მოცემულია სიახლე და მნიშვნელობა.

თავი I. რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში. ოსმალები ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროვებით ცდილობდნენ, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხოთ და მოსახლეობა გაემაჰმადიანებინათ. ისინი ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენდნენ აჭარის ქრისტიანულ მოსახლეობაზე, მათ უამრავ გადასახადს უწესებდნენ ყოველ უძრავ ქონებასა და შემოსავალზე. აქაური ქრისტიანი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებით კი, დიდ პრივილეგიებს და ჯილდოს ღებულობდა. იმისათვის, რომ აჭარელთა შეგნებიდან აღმოეფხვრათ ქრისტიანობის ნაშთები, ოსმალებმა მათი დოკუმენტური წყაროები და ისტორიული ძეგლებიც გაანადგურეს. როგორც ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი აღნიშნავდა „აჭარის არცერთი კუთხე არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით“. XIX საუკუნისთვის ოსმალო მოძალადეების სისასტიკის გამო ქრისტიანობა, მოსახლეობის ნაწილის მიერ მხოლოდ მალულად აღევლინებოდა.

თავი II. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება. საგარეო მოვლენების კვალდაკვალ, საუბარია ოსმალეთის დამღუპველ პოლიტიკაზე და მის შედეგებზე, რომელსაც მიჰყავს ოსმალეთის მფლობელობაში მოქცეული, რიგი ქართული მხარეები პროტესტამდე, ოსმალური რეჟიმისადმი და იკვეთება დედა-საქართველოსთან მათი დაბრუნების სწრაფვა. წინა

პლანზე წამოიწია გამოხსნის იდეამ, რაც მთავარ მოტივად გასდევდა ოსმალეთის ბატონობაში მყოფ ქართველ მაჰმადიანთა ეროვნულ მოძრაობას, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში.

თავი III. მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყებამდე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თავი იჩინა საგადასახლებო მოძრაობამ. იგი „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი. ეს იყო უაღრესად მძიმე მოვლენა. ომის დამთავრებას თითქოს უნდა დაეშოშმინებინა აყრა-გადასახლების მსურველნი და პროცესიც უნდა შეეჩერებინა, სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

ამ ტრაგიკული მოვლენის ძირითადი მიზეზი იყო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ ოსმალეთისა და რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა. ერთიც და მეორეც ცდილობდა, ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით.

თავი IV. პორტო-ფრანკო ბათუმში. ისტორიულად მოკლე მონაკვეთში, ბათუმი ორჯერ გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ, მათ შორის იყო მსგავსებაც და განსხვავებაც. ორივე პორტო-ფრანკო დაწესდა ოსმალეთისაგან ბათუმის განთავისუფლების შემდეგ და ამ სტატუსის ავტორები იყვნენ, ევროპის დიდი სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ; ამასთან, ორივე შემთხვევაში ბათუმს ევროპელი დიპლომატები განიხილავდნენ „რუსეთის პრობლემის ნაწილად და გეგმავდნენ მის გამოყენებას, ამ უკანასკნელის ძალების შესასუსტებლად. რაც შეეხება პრობლემის ეკონომიკურ მხარეს, პორტო-ფრანკოს ორივე ვარიანტი ითვალისწინებდა ბათუმის გადაქცევას შეუზღუდავი ტრანზიტის ნავსადგურად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ქმნიდა თვით ქალაქის სწრაფი ეკონომიკური განვითარების პრესპექტივასაც, მაგრამ რეჟიმს არსებითი როლი არ შეუსრულებია კოლონიური საქართველოსთვის.

დასკვნით ნაწილში მოკლედაა შეჯერებული ცალკეულ თავებში განხილული საკითხები და მოცემულია ჩვენეული ინტერპრეტაციები. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

წყაროები და ისტორიოგრაფია

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ზემო აჭარის მეცნიერული ფუნდამენტური კვლევა არცთუ დიდი ხნის წინათ დაიწყო.

მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20 სააუკუნის დასაწყისის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესასწავლად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ამავე პერიოდის ქართველ მოგზაურ-მკლევართა ნაშრომებში, როგორებიც არიან დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი და სხვა. აღნიშნულ საკითხს თავიანთ შრომებში მეტ-ნაკლებად ეხებიან აგრეთვე ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და ფილოლოგები ივ. ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, ვ.იაშვილი, ნ. შენგელაია და სხვები. მათ ნაშრომებში სათანადოდაა გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დამყარება სამხრეთ საქართველოს ძირძველ ქართულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში, ოსმალების დაუნდობელი ბრძოლა, ქრისტიანობის აღმოფხვრისა, ძალადობრივი რეჟიმით მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვა, რასაც აჭარის მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობა მოჰყვა.

მეტად მნიშვნელოვანია დიდი ეროვნული მოღვაწის ზ. ჭიჭინაძის მიერ 1915 წელს გამოცემული სპეციალური ნაშრომი „ქართველების გამაჰმადიანება ანუ გათათრება“, რომელშიც აღწერილია ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მხარეებში და მათ შორის აჭარაში მოსახლეობის ქრისტიანობისათვის თავგანწირული ბრძოლა. აღნიშნული თემის ირგვლივ საინტერესოა მისი სხვა ნაშრომებიც, მათ შორის „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი“, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და სხვები“.ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში მოცემულია მუჰაჯირობის სავალალო შედეგების დამადასტურებელი ფაქტები, აღწერილია მრავალი გაპარტახებული ხეობა, სოფელი, კარ-მიდამო და ა.შ (იხ. ჭიჭინაძე ზ, 1913).

ამ მიმართულებით აუცილებელია ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებაც. საერთოდ, მხარის ეთნოგრაფიული შესწავლა მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზას ემყარება. წყაროთა ასეთი სიუხვე ე.წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ მეცნიერული გაშუქების ინტერესებით იყო განპირობებული. ჯერ ერთი, ამ მხარის შესახებ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ და მეორეც, მზადდებოდა

რუსეთ-ოსმალეთის ომი და ქართველი ინტელიგენცია სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის წარმოჩენით ცდილობდა ცარიზმის დაინტერესებას ამ მხარის შემოერთებისათვის. სწორედ ამ მიზნით ომის წინა წლებში, როგორც ავღნიშნეთ აქ იმოგზაურეს მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, რომლებმაც შემდეგ შექმნეს შესანიშნავი ნაშრომები. მათში საინტერესო ისტორიულ ცნობებთან ერთად, მოცემულია საყურადღებო მასალები აჭარელთა სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურისა და სოციალური ურთიერთობების შესახებ.

ამ მხრივ პირველი იყო დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1873 წლის ზაფხულში იმოგზაურა გურია-აჭარაში და დაგვიტოვა შესანიშნავი აღწერილობა (წიგნი), სადაც მდიდარ არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად, უხვადაა წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებიც. განსაკუთრებით ფასეულია ავტორის მონაცემები აჭარელთა სამეურნეო ყოფის შესახებ. ნაშრომში წარმოდგენილია საყურადღებო მონაცემები აჭარელთა საცხოვრებელი და საოჯახო ყოფის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სტუმარ-მასპინძლობის და სხვა საკითხების შესახებ (იხ. ბაქრაძე დ, 1987).

დ. ბაქრაძის მონაცემებს, ფრაგმენტული ხასიათის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა აქვს მე-19 ს. მეორე ნახევრის აჭარის ისტორიის შესწავლისთვის.

1874 წელს აჭარაში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგმა. ნაშრომში მოცემულია აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება. მოგზაურმა დიდი შრომა გასწია მოსახლეობის რაოდენობის, ეთნიკური და კონფესიური სტრუქტურის დასაზუსტებლად. ეს ცნობები მკლევარმა სპეციალური ცხრილის სახით წარმოადგინა. გ. ყაზბეგი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ აჭარა მთლიანად იყო დასახლებული ქართველებით (98 %), ხოლო 2% შეადგენდნენ იმიგრანტი ჩერქეზები, ბერძნები, სომხები და ქურთები (იხ. ყაზბეგი გ, 1995).

აჭარის მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად, კავშირის გასამტკიცებლად და მათ ადგილზე დარჩენისთვის ენერგიულად იბრძოდა გრ. გურიელი, რომელსაც ყველა აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროგრამა ჰქონდა. ის თანამდებობიდან ნაადრევად გადააყენეს. თავისი გეგმა ძირითადად ამის შემდეგ განახორციელა, რაზეც საინტერესო მასალას ვპოულობთ იმდროინდელ

პერიოდიკაში (დაწვრ. იხ. დიასამიძე ა, 2016-17).

ბათუმის ოლქის მაშინდელი მდგომარეობის, ადგილობრივი მოსახლეობის სამკვიდროდან აყრისა და მოძრაობის შესახებ საგულისხმო ფაქტები შემოგვინახა ა.ფრენკელმა თავის ჟურნალისტურ ჩანაწერებში. ამ ნარკვევს დღეს ძირითადი წყაროს მნიშვნელობა აქვს (ფრენკელი ალ, 2012).

აჭარაში განვითარებული ემიგრაციული პროცესები სპეციალურად განიხილა შ. მეგრელიძემ ნაშრომში „აჭარის წარსულიდან“. მასში, ძირითადად იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია მხოლოდ ერთი პერიოდის მუჰაჯირობა ბათუმის ოლქში. აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ პროცესში ძირითად დამნაშავედ ოსმალეთს ასახელებს (მეგრელიძე შ, 1964).

ამ პერიოდის ბათუმის ისტორიასთან დაკავშირებით მუჰაჯირობის საკითხი მიმოიხილა ვ. სიჭინავამ (სიჭინავა ვ, 1958).

პორტო-ფრანკოს საკითხს აშუქებს აბ. სურგულაძე და მ.სიორიძე (სურგულაძე აბ., სიორიძე მ, 1996).

მუჰაჯირობასთან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნებაში გრ. გურიელის ღვაწლი საგანგებოდ შეისწავლა მკვლევარმა ა. დიასამიძემ, რომელიც საფუძვლიანად და თანმიმდევრულად აღწერს არსებული პერიოდის პროცესებს (დიასამიძე ა, 2016.).

ამ უკანასკნელ ხანს მუჰაჯირობის პრობლემას შეეხო მკლევარი ირ. ბარამიძე (ბარამიძე ი, 1999).

სამხრეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და მუჰაჯირობის შესახებ მდიდარი დოკუმენტები მოგვეპოვება სამამულო და უცხოურ არქივებში.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სხვადასხვა ფონდში გაბნეული დოკუმენტები ასახავს ჩვენ კუთხეში არსებულ რთულ დემოგრაფიულ ვითარებას, შექმნილ აუტანელ სოციალური ყოფის დამადასტურებელ ფაქტებს. აქ გვხდება როგორც მაღალი წრის წარმომადგენლების საადგილმამულო ურთიერთობების ნიუანსები, ოსმალეთში გადასახლების, მამულების სახაზინოდ ჩარიცხვის ფაქტები, ასევე, სხვადასხვა ხეობის მთელი

მოსახლეობის, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელთა ასეულობით თხოვნა , საჩივრები და სხვ.

სპეციალური ფონდებიდან გამოვლენილი დოკუმენტები მრავალფენოვან ცნობებს შეიცავს 1877-1878 წწ. ომის შემდგომ შექმნილი მდგომარეობის. ამ მასალებში ნათლად იკვეთება იმპერიის მოხელეების მიერ ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა, უცხოელების მიერ გაწეული პროპაგანდის მიზნები და ა. შ.

ასევე, საინტერესო ცნობებია დაცული კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდში. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის საისტორიო, საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში და სხვ. აჭარის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს „ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი“, რომელიც შედგენილია 1694-1732 წლებში. დავთრის ცნობები შეეხება ქვემო და ზემო აჭარის ლივების ცალკეული სოფლების შემოსავალს, რომელიც ახჩებში იანგარიშებოდა. აქვე დასახელებულნი არიან ოჯაქლიკის, ზეამეთის, საერთო სარგებლობისა თუ სხვა წესით გაცემული მამულების მფლობელები სახელისა და გვარის ჩვენებით; ჩამოთვლილია ქვემო და ზემო აჭარაში შემავალი სოფლები: კვაშტა, აქუცა, მერისი, წონიარისი, ზვარე, მელიქწმინდა, რაბათი, უჩამბა, სამულეთი, ჭვანა, ღურტა, ნიგოზეული, კვატია, ჯვარისახევი, ახალდაბა, ხულო. დავთარი მნიშვნელოვანი წყაროა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის, აგრეთვე მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში.

ბოლო პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს, ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესების გავრცელებას და ა.შ. წარმატებით იკვლევს თურქოლოგი ზ.შაშიკაძე. მისი სამეცნიერო სტატიები გამოირჩევა გამოყენებული საარქივო მასალის სიუხვით, რომელიც მანამდე ქართველი მეცნიერებისთვის უცნობი იყო. ყურადღებას იქცევს ოსმალური და მის მიერ თარგმნილი XVI ს-ის 70-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტი - ,,ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად გვაწვდის საინტერესო ცნობას განვითარებული შუა საუკუნეების აჭარის წყლის ხეობაში ციხის

რაბათების არსებობის შესახებ. წყაროში მოცემულია აჭარის წყლის ხეობის მოსახლეობისა და ქონების აღწერა, სოფლების, მათში მცხოვრებიკომლების, შემოსავლებისა და გადასახადების სახეებისა და ოდენობის ჩვენებით. აღწერის მასალებში შეტანილია მოსახლეობისაგან დაცლილი პუნქტებიც კი. დოკუმენტის მიხედვით ზემო აჭარის ლივა (სანჯაყი, სადროშო) ორნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა და მოიცავდა მთელა ჭარის წყლის ხეობას ჭოროხთან შესართავამდე.ზემოაჭარის ნაჰიეში გაერთიანებული იყო თანამედროვე ხულოსა და შუახევის რაიონების დასახლებული პუნქტები, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში თანამედროვე ქედის რაიონის დასახლებული პუნქტები მდ. აჭარისწყლის ჭოროხის შესართავამდე [შაშიკაძე, 2011].

ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისა და ოსმალთა ძალადობრივი რეჟიმის დანერგვის თაობაზე მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის თავის ნაშრომში ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი (ახვლედიანი, 1957). ასევე საინტერესოა ი. ბექირიშვილის ნაშრომი „ქრისტიანობა აჭარაში“ (ბექირიშვილი, 1991). ჩვენს
თემასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს ვხვდებით 1970-1980 წწ. რვა ტომად გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“. ასევე 2012 წელს 4 ტომად დაბეჭდილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმდროინდელი პერიოდიკა, გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „გოლოსი“, ომბზორი“. ჟურნალები: „ცისკარი“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა. დასახელებულ პერიოდულ გამოცემაში დაცული „ცხელ-ცხელი“ინფორმაცია ავსებს საარქივო დოკუმენტებში არსებულ სარწმუნო მონაცემებს.

აღნიშნულ პრობლემაზე თანამედროვე ქართველი მკლევარები დიდი ხანია მუშაობენ. ამის მიუხედავად. ე.წ. საბჭოთა პერიოდში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების შესწავლა განსაკუთრებული იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ შექმნილია ის ბაზისი, რომლის საშუალებითაც მკლევარს შეუძლია ამ მეტად საინტერესო თემაზე გარკვეული ინფორმაციის მოპოვება. მიუხედავად იმისა რომ, საკითხი კიდევ ბევრ კვლევა- ძიებას საჭიროებს.

თავი I.რელიგიური ვითარება XIX საუკუნის აჭარაში

ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაშლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მყიდველთა ველურ ბუნაგად, ასეთი იყო ოსმალეთის „ სახელმწიფო შემოქმედების მიზნები მის მიერ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში, - აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. ოსმალეთის პოლიტიკა, როგორც პროფესორი შ. მეგრელიძე მიუთითებს, იქეთკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოეფხვრათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რელიგია და სხვა; დაევიწყებინათ მშობლიური ქართული ენა და ყოველივე ქართული“.

ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის ისტორიიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აქ ქრისტიანული ეკლესიის გავლენის დაკარგვის პირობებისა და ქრისტიანული სალოცავების ბედის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რადგან პირვანდელი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი (სხალთა), და არქეოლოგიურად შესწავლილია სულ რამდენიმე (ხინოს და პეტრას საეპისკოპოსოები, ვერნების, თხილვანის, კალოთის, აგარის, საციხურის,წაბლანის, ფურტიოს, ჯაბნიძეების...) ეკლესია.

ამ ინტერესს აძლიერებს თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიასა და ზოგიერთი ქართველი მკლევარის ნაშრომებში გატარებული აზრი იმის შესახებ, რომ ოსმალთა ბატონობის ხანაში, მოსახლეობის გამუსლიმანების მიზნით, იძულებას ადგილი არ ჰქონია.

ამჟამად, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გაზიარებულია თვალსაზრისი XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან აჭარაში ოსმალთა გაბატონების შესახებ (შაშიკაძე. 2002; 151-152). გაბატონებიდან ათი წლის შემდეგ ოსმალთა მიერ აჭარისწყლის ხეობაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით (აჭარის ლივის ვრცელი დავთარი 2011; 5-21), რომლის მიზანი იყო მოსახლეობის სულადობის და შემოსავლების დადგენა აქ გადასახადების დაწესების მიზნით, ხეობაში 94 სოფელია აღრიცხული, რომელთაგან 35 მოსახლეობისაგან დაცლილი იყო, ხოლო ზოგში მხოლოდ ორ-ორი კომლი იყო დარჩენილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარისწყლის

ხეობის მოსახლეობამ სხვა მხარეების მაგალითზე იცოდა ოსმალთა ბატონობის სიმძიმე, ამიტომ ერთმა ნაწილმა დატოვა სამკვიდრო ადგილი და თავი შეაფარა ქვეყნის შედარებით დაცულ მხარეებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ოსმალეთის ეკონომიკის ძლიერება პირდაპირ იყო დაკავშირებული დაპყრობით ომებთან, აქედან გაჩნდა ისტორიკოსებში გამოთქმა "ხმალზე დაყრდნობილი ეკონომიკა" (აჭარის ლივის ვრცელი დავთარი 2011; 5).

XIX საუკუნემდე აჭარაში ოსმალური მმართველობა ნომინალური იყო და ისლამის გავრცელებასაც, განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენაში, ფართო ხასიათი არ მიუღია. ამას თავისი ახსნა აქვს: 1) ვიდრე ოსმალები ფართო დაპყრობით ომებს ეწეოდნენ, ცდილობდნენ შედარებით ლოიალუარად მოქცეოდნენ დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობას მათი წინააღმდეგობის შენელების მიზნით; 2) დაპყრობითი ომები დიდძალ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ მათთვის ამ ეტაპზე მთავარი იყო რაც შეიძლება მეტი გადასახადების ამოღება; 3) დაპყრობილ ქვეყნებში და მათ შორის აჭარაში მოსახლეობის არაერთ გამოსვლას, აჯანყებას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, აჭარაში აჯანყებები მოხდა 1668, 1685, 1697, 1739-1740, 1770-1781, 1815, 1830, 1845, 1852 წლებში (იაშვილი, 1948; 103-117), ასევე 1685 წ. ლიგანის ხეობაში, 1690 წელს შავშეთ-იმერხევში, 1697 წელს სამხრეთ საქართველოში (ახვლედიანი 1956; 103-117), ყველაფერი ეს დამპყრობელს აიძულებდა ფრთხილად ემოქმედა, მისთვის მოსახერხებელ დროს დალოდებოდა და დაკმაყოფილებულიყო დიდგვაროვნების გამუსლიმანებით, რომლებზე დაყრდნობითაც მართავდა დაპყრობილ მხარეებს. ამის პარალელურად იგი დაშინებით, ფულით, საჩუქრებით, პრივილეგიებით და სოციალური სტატუსის ამაღლებით დაბალ ფენებშიც ნახულობდა საყრდენს.

ოსმალები ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენდნენ აჭარის ქრისტიანულ მოსახლეობაზე, ქრისტიანებს გადასახადს აწერდნენ ყოველგვარ უძრავ ქონებასა და შემოსავალზე. ამ მიზნით ოსმალებმა სპეციალური გადასახადი - **ისფენჯი** დააწესეს. მისი გადახდა, წელიწადში ერთხელ ევალებოდათ, ამით მოსახლეობა დროებით ინარჩუნებდა ქრისტიანობას. ქრისტიანი მოსახლეობა მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებებს, მაჰმადიანური რელიგიის მიღებით კი დიდ პრივილეგიებს და ჯილდოს ღებულობდა. ისტორიკოსი ხ. ახვლედიანი სათანადო გამოკვლევებზე და დოკუმენტებზე დაყრდნობით სამართლიანად აღნიშნავს: „აჭარის არცერთი კუთხე

არ გამუსლიმანებულა თავისი ნებით, ამას ადასტურებენ ისტორიული საბუთები და და იმ დროის მომსწრენი. როგორც ჩანს, ეს პროცესი მიმდინარეობდა წინა ორ საუკუნეებში. ამიტომაა, რომ მე-19 საუკუნეში, ერთი შეხედვით, სწრაფი ტემპით განხორციელდა აჭარის მოსახლეობის გამუსლიმანების პროცესი, თაობების მახსოვრობას შემორჩა ის სისასტიკე, როგორსაც იჩენდა დამპყრობელი, ხალხზე ზემოქმედების დასახელებულ ფორმებთან ერთად. ზ. ჭიჭინაძეს ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილისგან ჩაუწერია: "ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნებით არცერთი მხარე არ გამუსლიმანებულა, სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა... ნახევარი ზეგანი, ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თანხმდებოდნენ. დანდალოს აჭარამ მიბაძა და აჭარაშიც სისხლი დაღვარა," (ჭიჭინაძე 1907; 16-17). სხვა კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ამბები მოუსმენია ოსმალთა ძალადობის შესახებ ზ.ჭიჭინაძეს მთხრობელისგან (ჭიჭინაძე, 1907; 16,70, 71, 73-74, 81). ასე, რომ ძალადობამ სოციალურ-ეკონომიკურმა ღონისძიებებმა, რაც გამოიხატებოდა რწმენის შეცვლის შემთხვევაში სოციალური სტატუსის შენარჩუნება ამაღლებაში, უძრავი ქონების მფლობელობის უფლების მინიჭებაში და სახელმწიფო სამსახურით უზრუნველყოფაში, თავისი შდეგი მოუტანა დამპყრობელს - ისლამმა აჭარაშიც მოიკიდა ფეხი, თუმცა შდარებით გვიან. დ. ბაქრაძე წერს: "ისლამმა ჯერ ლაზისტანში მოიკიდა ფეხი, შემდეგ ჭოროხის ხეობაში, შემდეგ ახალციხის მაზრაში, შემდეგ მიაღწია აჭარაში და ბოლოს დაეუფლა ქობულეთს, საიდანაც გავრცელდა კინტრიშის ხეობის აყოლებით. "ხინომ, სადაც ეპისკოპოსი იჯდა, მაჰმადიანობა მიიღო 1780 წლამდე ცოტა ხნით ადრე" (ბაქრაძე, 1987; 72) მისივე თქმით, ასევე, 30 წლის წინათ აჭარაში თურულს მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ხალხი ლაპარაკობდა, ვისაც თურქეთის ქალაქებში ჰქონდა საქმე"(ბაქრაძე, 1987; 40.) იაკობ პროკურიაკოვი (1807-1873)წწ. რომელმაც ბათუმი 1842 წელს მოინახულა, წერს: ქრისტიანობა ბათუმში ოსმალთა ძალმომრეობით მოისპო. ძველებური ფერწერით მოხატული ეკლესია კარგადაა შემონახული, ხოლო ქართულად მოლაპარაკე ქალაქის მცხოვრებლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ მაინც უფრთხილდებიან და კითხულობენ საღვრთო წიგნებს. ზოგიერთ სახლში ხატებიც კი აქვთ, როგორც სახსოვარი იმისა, რომ წინაპრები ქრისტიანები იყვნენ". ვფიქრობთ საინტერესო ინფორმაციაა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ბათუმის ისტორიისთვის; ბათუმში, რომელიც სოფლის ტიპის დასახლებაა, დგას ფრესკებით მოხატული

ეკლესია და ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს (აჭარლებს) აქვთ ქრისტიანული საღვთო წიგნები და კითხულობენ კიდეც. სახლში კი ხატებიც აქვთ. ოცდაათი წლის შემდეგ (1873წ) დ. ბაქრაძის მიხედვით, ბათუმის შემადგენლობაში - ყოროლისწყლის მარცხვნივ - ექვსი-შვიდი ეკლესიის ნაშთი ჩანს, ყოროლისწყლის სათავეში დიდი გუმბათოვანი ეკლესიაა, ბათუმის ახლოს კი სამების ეკლესია. ახალშენსა და კვესელაურში - ეკლესისს ნანგრევებია (ბაქრაძე, 1987; 27). ამასთან, იგი მიუთითებს, რომ "მხოლოდ მოხუცებულებში შევხვდი ადამიანებს რომელთაც, ესმით რომ გურჯები არიან და რომ აჭარა ენითაც და ისტორიითაც გურჯისტანის ნაწილია.. სიტყვა "ქართველი" აჭარელთათვის უცნობია, თავს აჭარლებს ეძახიან, ხოლო ქართულ ენას "გურჯულს" (ბაქრაძე, 1987; 45)

იაკობ პოსკურიაკოვისა და დ. ბაქრაძის მიერ აღწერილ ბათუმისა და მისი შემოგარენის სურათებს შორის განსხვავება აშკარაა. 30 წლის მანძილზე ასეთი ცვლილებები იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ 30-40-იანი წლების ე.წ. "თანზიმათის“ პოლიტიკამ და მეორე მხრივ, წინა მრავალ ათასწლეულებში დამპყრობლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო ეროვნული და რელიგიური იდენტობის დავიწყების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა გ. წერეთელი, რომელიც აჭარაში 1873 წელს მოგზაურობდა, წერს; "აქ ყველა ოსმალობის ბატონობის შესახებ არანაკლებ ფარული სიძულვილით ლაპარაკობს. თუმცა მაჰმადიანები არიან, მაგრამ რელიგიამ ასეთ ხანგრძლივ პერიოდში მათ ცნობიერებაში თურქებთან საერთო ვერავითარი დამაკავშირებელი ელემენტი ვერ შექმნა. თვით მოსახლეობაში ვერც ფანატიზმი შევნიშნე და ვერც რელიგიურობა. მრავალი მათგანი რამაზანს საერთოდ არ ასრულებს". აჭარლები სიძულვილით იყვნენ განწყობილი ფადიშაჰის ხელისუფლებისადმი. ამავე აზრს გამოთქვამს ჯიფორდპალგრევი, რომელიც ინგლისის კონსული იყო ტრაპიზონში 1867-1872 წლებში. იგი წერს, რომ თვითონ იყო აჭარის ყველა ოლქში და გვაუწყებს; "აჭარა იყოფა სამ ოლქად; ზედა აჭარა, ქვედა აჭარა და მაჭახელი. ჩრდილო-დასავლეთით იგი შემოსაზღვრულია ბათუმის სანაპიროთი და თავისი რელიეფითა და გზებით სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიებისთვის ერთგვარი გასაღებია ზღვაზე გასვლისთვის... აჭარლებს არ უყვართ ოსმალური ხელისუფლება, ღიად ებრძვიან ". აქ ერთის მხრივ, აჭარისა და ბათუმის სტრატეგიულ მნიშვნელობაზეა ხაზგასმული და მეორეს მხრივ, ნაჩვენებია აქაური მოსახლეობის განწყობა და პოზიცია.

1872 წელს ბათუმს სტუმრობდა ნიკო ნიკოლაძე. იგი შთამბეჭდავად აღწერს რა აჭარელის გარეგნობას: "აჭარლები ცოცხალი, ძალითა და სიმრთელით სავსე, ტალივით მაგარი, ლომური აგებულების არიან, მათთვის დამახასიათაებელია გონიერი და სავსე თვალები, მშვენიერი შუბლი, მარჯვედ მოთლილი ყბა, ფართო მხარბეჭი, წერწეტა წელი, გაპარული მუცელი, მარჯვე წვივები. ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისთვის გამოჭრილი ხალხია", შემდეგ მოაქვს საინტერესო დიალოგი ერთ აჭარელთან- ნიკო ნიკოლაძის კითხვაზე: ეხლა რომ წერა-კითხვა დაგვიწყნიათ, ენაც და ლაპარაკიც რომ დაჰკარგოთ, როგორც რჯული დაკარგეთ, მაშინ რა კაცები იქნებით? - აჭარელი პასუხობს "ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა. ლაპარაკს სწავლა როისჭირია. მაშ ჩვენ, თუ საჭირო გახდება ფიშტოთი და მაჭახელათიც კი დავიცავთ. მას ცოცხალი თავით არავის დავაჩაგვრინებთ და დავანებებთ. მტერი მაგას ვერ მოესწრება. აბადალაი ნუ კი გგონია შენ აჭარლები" (ნიკოლაძე, 1963; 76, 82).

ამ დიალოგში აშკარად ჩანს, რომ რწმენის შეცვლის მიუხედავად აჭარელისათვის ეროვნული იდენტურობის ნიშნად ენა დარჩენილია და მას ცოცხალი თავით არავის დააჩაგვრინებს და დაანებებს. "ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა რომელიც სარწმუნოების გავლენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულა შიდა აჭარაში. ძველებურის ქართულის ნიშანი განსაკუთრებით შენახულია აქაურ სიტყვა-პასუხში. მათი ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრის ამებისა- უმაღლეს განვითარებამდეა მიღწეული. აქ ადამიანის ყური იშვიათად გაიგონებს უწმაწურ სიტყვებს"- წერს თედო სახოკია (სახოკია, 1985; 234, 237).

მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპეტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაპყრობილ ტერიტორიებზე გავლენის გამტკიცების მიზნით სახელმწიფო და ეკონომიკური მმართველობის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც აიძულებდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას ისლამის რწმენის მიღებასა და სახელმწიფოს მოთხოვნებისადმი მორჩილებას. მართლაც, თუ მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე აჭარის ტერიტორიაზე სულ რამდენიმე მეჩეთი იყო აშენებული (ახოს, დაგვისთავის, თხილვანის, ხიხაძირის, ფუშრუკაულის) მომდევნო ათწლეულებში მათი რიცხვი ასეულებს აღწევდა. მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მარტო ბათუმში, რომელიც უფრო სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს მოსახლეობა კი 5000

სულამდე იყო და 1878 წლისათვის 3000-მდე შემცირდა. სამი მეჩეთი მოქმედებდა (აზიზიე, მუფთიე და ორთაჯამე), ხოლო მთლიანად აჭარაში 200-მდე მეჩეთი და 207 მედრესე მოქმედებდა (ახვლედიანი, 1956; 44). 1877-1878 წლების ომის შემდეგ მეჩეთების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან საკუთარი სალოცავის ქონა სოფლისთვის პრესტიჟის საკითხად მიიჩნეოდა რუსეთის მმართველობისას და ყველა პატარა დასახლება თავის მეჩეთს იშენებდა. 1898 წელს მარტო აჭარისწყლის ხეობის სოფლებში 68 მედრესე მოქმედებდა 1177 მოსწავლით (ზემო აჭარაში - 320, ქვემო აჭარაში- 857) (სახოკია 1985: 293). ასეთ პირობებშიც აჭარლები დიდხანს საიდუმლო სამლოცველოებში გადამალული ხატებითა და ჯვრებით ჩუმად ლოცულობდნენ, ქრისტიანული წესით მარხავდნენ მიცვალებულებს, გურიიდან მოწვეულ მღვდლებს ანათვლინებდენ ბავშვებს (ახვლედიანი, 1956: 42-43). დ. ბაქრაძეს ქედაში ერთი მოხუცი დალაქისგან - დიასამიძისგან მოუსმენია: „ჩემს ახალგაზრდობაში ჩვენ ვლოცულობდით მათს (ეკლესიების) ნანგრევებში ძველი ჩვეულებისამებრ. ვიცოდით რომ ჩვენი მამა-პაპანი ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და ჩვენ რომ მოდგმით გურჯები ვართ" (ბაქრაძე, 1987: 49). თ. სახოკია კი, მოგვითხრობს თავისი მოგზაურობის შესახებ მარეთის ხეობაში, გვაცნობეს „ჩვენი მასპინძლის ეზოში (სოფ. ოლოდაური - ბ.დ) ძველი ნასაყრდალიცაა. ძველი კედლებისა და მხოლოდ ქვების გროვღაა დარჩენილი. ხელუხლებლად დარჩენილა აგრეთვე ძველადვე დარგული ბზის ხეები. მთელ ამ ადგილას მოწიწებით ეპყრობიან და შეუძლებელია იქ დარგულ ბზებს ერთი ტოტი ჩამოაცალონ“ (სახოკია, 1985; 267). ამავე აზრს ადასტურებს დ. ბაქრაძის ნათქვამიც: „ თუმცა აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრიეს, მაგრამ ქრისტიანული მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათ გარშემო კორომები ხელუხლებლად მიაჩნია“ . (ბაქრაძე, 1987: 72)

ზ. ჭიჭინაძის ცნობით სოფელ გობრონეთში 1830 წლამდე იდგა პატარა ეკლესია, რომელსაც უვლიდა ერთი მოხუცი ქალი, ხოლო სოფ. ახოში ეკლესია 1780 წელს დაუქცევიათ. ჯამის კარის ქვეშ დატანილ ეკლესიის ქვაზე კი ჯვარი და ქართული წარწერები ჩანსო (ჭიჭინაძე, 1907: 107).

წარმოდგენილი მასალა აჩვენებს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას ქრისტიანობის და მისი წმინდა ადგილების, სალოცავებისადმი, მაგრამ აუხსნელი რჩება, რამ გამოიწვია აჭარის ტერიტორიაზე არსებული თითქმის

ყველა ეკლესიის დანგრევა. ჩვენამდე, ხომ მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია თითქმის თავდაპირველი სახით, მაშინ როცა მე-19 საუკუნის ბოლოს ზ.ჭიჭინაძეს 100-მდე ეკლესიის ნანგრევი აქვს აღრიცხული (ჭიჭინაძე 1913). ამ პრობლემის ახსნა ვფიქრობთ, ისევ ზ.ჭიჭინაზის მიერ ჩამოწერილ ერთ მონათხრობშია მოცემული; ოსმალნი „ შესყიდვით შოულობდნენ მოღალატეებს. პირველ ხანაში აჭარის თავადნი გულ-ამღრევით ეკიდებოდნენ ასეთ საქმეს და გადაბირებულ ქართველს ერთ დღესაც არ აყენებდნენ აჭარაში. მაგრამ გავიდა ხანი და მათი ძალაცა დაეცა.. თავად-აზნაურნიც შეისყიდეს... თავადებს ბეგობა მისცეს, აზნაურებს-აღიობა.. თავად - აზნაურების გათათრების შემდეგ, მიჰყვეს ხელი სამღვდელოებას და დაუწყეს გათათრება, მაგრამ სამღვდელოებამ დიდხანს იმაგრა თავი, ბოლოს კი მათაც მოაკლდათ ძალა და ზოგი გათათრდა და ზოგნი ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ. ხალხი თათრობის დროსაც არ სტოვებდა დიდხანს ეკლესიების პატივისცემას და სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ოსმალებმა აჭარაში ისე დააქციეს და დაარღვიეს ძველი ნაშთები, რომ ერთი ეკლესიაც არ გაუშვეს დაუქცეველ-დაუნგრეველი“. ამ მონათხრობში საკმაოდ დამაჯერებლად არის მოთხრობილი არამარტო ეკლესიების განადგურების მიზეზებზე, არამედ კარგადაა ნაჩვენები ის ხანგრძლივი და მძიმე განსაცდელი, რაც აჭარის მოსახლეობამ გამოიარა გამუსლიმანებამდე. ასევე ადვილად ასახსნელი ხდება ისიც, თუ რატომ იყენებდნენ ეკლესიებს მეჩეთებად ან რატომ აგებდნენ ეკლესიის ნანგრევებზე მეჩეთებს, ასეთი შემთხვევა კი ადგილობრივ მთხრობელებზე დაყრდნობით ზ. ჭიჭინაძეს ოცამდე აქვს დაფიქსირებული (ჭიჭინაძე 1913: 131-132). როგორც ჩანს ამით სურდათ დავიწყებას მისცემოდა ეკლესიები და მათი ადრინდელი არსებობა.

ამრიგად, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან, აჭარაში ოსმალთა მმართველობის დამყარების შემდეგ, ორი საუკუნის (მე-17, მე-18სს.) განმავლობაში ტარდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი აქ ოსმალური ცხოვრების წესის დანერგვისა და ისლამის გასავრცელებლად. მე-18 ს. ბოლოსა და მე-19 ს. დასაწყისში, საზოგადოების მაღალი ფენების ისლამიზაციის შემდეგ, ჯერი მიდგა მწარმოებლურ ფენებზე. ოსმალეთის ხელისუფლება ითვალისწინებდა აჭარაში მოსახლეობის წინააღმდეგობას და შედარებით სხვა ქვეყნებისაგან, აქ უფრო მსუბუქ საგადასახადო პოლიტიკას ატარებდა, თუმცა, თანზიმათის პოლიტიკამ აქაც თავისი შედეგი გამოიღო. ისლამი სხვადასხვა იძულებითი მეთოდებით, ფართოდ დაინერგა

მოსახლეობაში, რაც მეჩეთების რიცხვის ზრდაშიც გამოიხატა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ ფარულ ქრისტიანობას მისდევდა, შემდეგ, მიუხედავად გამუსლიმანებისა, მაინც გამოხატავდა პატივისცემას და კრძალვას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი. მათთვის ეროვნული იდენტობის საფუძველად ქართული ენა იქცა. ამიტომაა, რომ დედასაქართველოსთან შეერთებისას, აქ ქართული ენა შენახული და დაცული იყო. რაც შეეხება ქრისტიანულ სალოცავებს, ისინი ნადგურდებოდა დამპყრობლების მიერ იმის გამო, რომ ისინი აღიქმებოდა როგორც ქრისტიანობისა და ქართველობის შენარჩუნების სიმბოლო, ამიტომ ბევრგან ნაეკლესიარებზე შენდებოდა მეჩეთები, მათი დავიწყების მიზნით. (დიასამიძე, ბ, 2016. 111,122).

თავი II. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნება

მე-19 საუკუნეში აქტიურ ფაზაში შედის ქართველი ხალხის ბრძოლა ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. ერთის მხრივ ეს ნიშნავდა ერთი დამპყრობლიდან მეორეს ხელში გადასვლას, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში თავისთავად პროგრესული აქტი იყო.

ოსმალეთის იმპერიაში სულიერ, სოციალურ-პოლიტიკურ და სამეურნეო - ეკონომიკურ ცხოვრებას საფუძვლად ედო ისლამური მოძღვრება, რომელიც აჩქარებდა ქართველების ეროვნულ გადაშენებას. ყოველივე ეს ქართველ ხალხს კარგად ქონდა შეგნებული, ამიტომ იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების ომებში და რუს მეომრებთან ერთად ქართველებმაც ბევრი სისხლი დაღვარეს ოსმალთაგან მშობლიური მიწა-წყლის გამოხსნისათვის. 70-იან წლებში ოსმალეთის კოლონიებში ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა. სულთნის მთავრობა მთელი სისასტიკით ახშობდა ყოველგვარ გამოსვლას. ბალკანეთის სლავების მფარველად რუსეთი გამოვიდა. ამან კიდევ უფრო მეტად დაძაბა რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობა. მათ შორის ომი დღითიდღე ახლოვდებოდა. მართალია რუსეთ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ხალხების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ ომისათვის მზადების პირობებში მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოზიციის დაზუსტებას. ამას ჯეროვნად ითვალისწინებდა როგორც ქართველი მოწინავე საზოგადოება, ისე რუსეთის სამხედრო უწყება. გენერალი კ.კომაროვი კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მოახსენებდა; „სიადვილე და სიძნელე ჩვენი ოპერაციებისა დიდადაა დამოკიდებული იმ გარემოებაზე თუ რა პოზიციას დაიკავებს ჩვენს მიმართ აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობა“ (მეგრელიძე შ, 1963). ამ მიზნით მე-19 საუკუნის 60-70 წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოავლინეს

ივ.კერესელიძე, ა.მეფისაშვილი, გ.წერეთელი, დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვ. მათ შეხვედრებს და საუბრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ გავლენიან პირებთან, არა მარტო წმინდა სამხედრო არამედ, ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ქართველობას იმედს აძლევდა, ძალას და ენერგიას ჰმატებდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოზიცია რუსეთ-ოსმალეთის მომავალი ომის მიმართ გარკვევით გამოხატა მხარის გავლენიანმა პირმა შერიფ ხიმშიაშვილმა, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ი. კერესელიძესთან საუბარში შერიფს განუცხადებია: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ მაშინათვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შეუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“ (ჭიჭინაძე, 1912).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ხიმშიაშვილთა გვარის როლი აღნიშნულ პროცესებში. მე-19 საუკუნის დასაწყისში სახალხო-გამანთავისუფლებელი ბრძოლის მეთაურობა იკისრა სელიმ ხიმშიაშვილმა. იგი საქართველოს ერთიაობისათვის დაღუპული ეროვნული გმირია. მან თურქეთის ხელისუფლებაში სათანადო თანამდებობრივ იერარქიას მიაღწია. ორჯერ ამაღლდა ახალციხის საფაშოს ტახტზე, შემდეგ კი ცხოვრების ბრძოლის ის გზა აირჩია, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოიხსნიდა თურქების კლანჭებისგან. ქართულ ერთიან ეროვნულ სივრცეში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლა აჭარაში გადმოსული ხიმშიაშვილების გვარის პირველმა კაცმა აბდულ ხიმშიაშვილმა დაიწყო, ხოლო მისმა შვილმა სელიმმა და შვილიშვილმა ახმედმა ეს საქმე გააგრძელეს. ამ უკანასკნელის შვილმა შერიფ ხიმშიაშვილმა ეს საქმე დაამთავრა. 1815 წელს სელიმს თავი მოჰკვეთეს, რომელმაც სიკვდილის წინ შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მე თავს მჭრით, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“. და სწორედ მის ანდერძს ფრთები შეესხა მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა შვილიშვილმა შერიფ ხიმშიაშვილმა. შერიფ ხიმშიაშვილის როლს სამაჰმადიანო საქართველოს დედასაქართველოსთან დაბრუნებაში დიდ შეფასებას აძლევს ისტორიკოსი ილია ფერაძე, რომელიც მართებულად შენიშნავდა: “აჭარის სვე-ბედის გამგედ, მის ბატონად რუსეთთან შეერთების ჟამს ითვლებოდა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელიც მეტად ხელს

უწყობდა სამაჰმადიანო საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ამის მეოხებით საქრისტიანო საქართველოსთან დაკავშირებას“.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის თავდადებული მებრძოლნი საკმაოდ იყვნენ რიგით ფენებშიც, რომელთ პოზიციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში. ასეთი პატრიოტები იყვნენ გულო კაიკაციშვილი, აბდულ მიქელაძე, ახმედ ხალვაში, დედე ნიჟარაძე, ახმედ ხალიფაშვილი (სურმანიძე) და სხვ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მღელვარების ალში გაეხვია. მათგან საყურადღებოა 1862-1873 და 1875-1876 წლების გამოსვლები. 1873 წელის მღელვარება დაკავშირებული იყო ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობისა და ადგილ-მამულების აღწერასთან. ოსმალთა მოხელეები პირველად ქობულეთიდან გააძევეს, შემდეგ კი - აჭარიდან, ხოფიდან, არხავედან და სხვა რეგიონიდან. ასევე მძლავრი იყო 1875-1876 წლების გამოსვლები (სურგულაძე აბ, 1969; 90-100). იგი დაკავშირებული იყო გადასახადების გადიდებასა და ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევასთან. მღელვარება 1875 წლის აგვისტოდან 1876 წლის ბოლომდეც გაგრძელდა. მთავრობამ ამბოხებულთა წინააღმდეგ რეგულარული არმიის ნაწილები გამოგზავნა. მათ შორის მოხდა სისხლიანი შეტაკებები, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა. მართალია, მთავრობამ მღელვარება იარაღით ჩაახშო, მაგრამ გადასახადების გადიდება და მოსახლეობის ჯარში გაწვევა მაინც ვერ შეძლო. მოსახლეობის მიმართ მკაცრი რეპრესიები გატარდა. მარტო ქობულეთსა და ბათუმის სამუდიროებში 1876 წლის სექტემბრისთვის დააპატიმრეს ათასზე მეტი კაცი. ასეთ პირობებში ქართველი ხალხი რუსეთ-ოსმალეთის მომავალ ომს იმედის თვალით შეჰყურებდა. „გამოხსნა-აღდგომის“ იდეამ მთელი საქართველო მოიცვა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ და ომის მსვლელობაში ქართველი ხალხი ხალისით ქმნიდა სახალხო რაზმებს. ომის წინ, მოკლე დროში, ამიერკავკასიაში მობილიზებული იყო 42 ათასი კაცი, რაც კავკასიის არმიის ერთ მეოთხედს შეადგენდა. საქართველოში მოლაშქრეთა 37 საბრძოლო შენაერთი შეიქმნა (სულ 102 ასეული: 63 ქვეითი და 39 ცხენოსანი), რომელშიც 18.395 კაცი ირიცხებოდა. ეს პროცესი ომის დროსაც გაგრძელდა. მთლიანად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 30 ათასი კაცი მონაწილეობდა (მეგრელიძე, შ 1956;51). სახალხო რაზმელები ეროვნული ტანსაცმლით გამოდიოდნენ. საბრძოლო სულისკვეთების

ამაღლებისთვის თითოეულ დრუჟინაში **ეკლესიის მსახურიც** გაამწესეს.

სახალხო რაზმელების უზრუნველყოფაში წვლილი ყველა კუთხეს შეჰქონდა. ფრონტისათვის ფულის შეგროვებამ კი მასობრივი ხასიათი მიიღო. საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული განვითარებისთვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში აზვირთებულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომლისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა რუსეთის სამხედრო უწყება, განსაკუთრებით კი ქართველი მამულიშვილები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი.გოგებაშვილი, ნ.ნიკოლაძე და სხვ).

სამხედრო რაზმელების საბრძოლო მომზადება 1876 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყო. რუსეთის არმიის კადრის მაღალი ჩინის ოფიცრები და გენერლები აღტაცებული იყვნენ ქართველი სახალხო რაზმელების მომზადებით.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877 წლის 12 (24) აპრილს დაიწყო. საომარი მოქმედება ბალკანეთსა და კავკასიაში გაიშალა. რუსეთის არმია 437 ათას, ხოლო ოსმალთა- 450 ათას კაცს შეადგენდა. ამიერკავკასიაში რუსეთის არმია ითვლიდა 180 ათას კაცს, რომელიც სამ კორპუსად იყოფოდა. ამიერკავკასიაში მოქმედი კორპუსი 60 ათას კაცს შეადგენდა. გეგმის თანახმად შეტევა ოთხი მიმართულებით განვითარდა: ოზურგეთიდან - ბათუმისაკენ, ახალციხიდან- არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან - ყარსისაკენ, ერევნიდან - ბაიაზეთისაკენ.

ძირითადი საბრძოლო მოქმედების ასპარეზი ანატოლია იყო, რამდენადაც ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხესიმაგრეების აღებას, როგორიცაა ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი, ერზრუმი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ოსმალეთის დამარცხებაში არანაკლები როლი ენიჭებოდა კავკასიის შავიზღვისპირეთის დაცვას და საბრძოლო მოქმედების განვითარებას ბათუმის მიმართულებით.

ომის პირობებში აჭარლების განწყობას ასახავს გაზეთი „დროების“ კორესპონდენტის სტატია „ქართველები ოსმალეთში“, ავტორის სიტყვით, აჭარლები იმედიანად უყურებენ ეროვნულ გამთლიანებას. ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ: „ღვთით მალე შევუერთდებით ჩვენს თანამემამულეებსო“.

ოსმალეთის მთავრობა მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირების, რუსეთის არმიისადმი სიძულვილის და მტრობის გაღვივების მიზნით ყველა ხერხს მიმართავდა: შანტაჟს, მოსყიდვას, იდეოლოგიურ დამუშავებას, ძალადობას; საბოლოოდ, ოსმალებმა მაინც შეაკოწიწეს აჭარელთა რამდენიმე რაზმი,

რომელთაც სათავეში გამუსლიმანებული ქართველი ფეოდალები ჩაუყენეს.

ოსმალეთი დიდ იმედებს ამყარებდა ამ რაზმებზე, მაგრამ ამაოდ. ბათუმის კორპუსის უფროსი დევრიშ-ფაშა ბევრს ეცადა შერიფ-ხიმშიაშვილის რაზმი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ჩაება, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, შერიფ ხიმშიაშვილმა რუსეთთან გააბა საიდუმლო მოლაპარაკება. იგი რუსეთის სარდლობას აუწყებდა მისი მოქმედების გეგმასა და ჩანაფიქრს. ოსმალებმა მისი პოზიცია ამოიცნეს, მოღალატედ ჩათვალეს და სცადეს დაპატიმრება. შერიფ ხიმშიაშვილი ახალციხეში გადავიდა, ხოლო ცოლ-შვილი არტაანში გადამალა. მაშინ ფანატიკოსთა ბრბომ ხულოში მისი სახლ-კარი გადაწვა.

1878 წ. 19 ივნისს ახალციხეში გამართულ ერთ-ერთ სადილზე შერიფ ხიმშიაშვილმა ასე აღწერა ეს ამბავი; „დევრიშ-ფაშა მწერდა, რომ ახალციხეზე გაილაშქრეო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო. ჯერ ვატყუებდი, რომ გზა მაქვს გამაგრებული, მერე დავიძვრინე თავი აქედან, მაგრამ როცა რუსის ჯარი არტანუჯისაკენ გავუშვი ხელუხლებლად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დევრიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე; ჩხუბი ავსტეხე ზემო და ქვემო აჭარას შუა, წავკიდე ისინი და ოთხი ბატალიონი იმათ დასამშვიდებლად გავგზავნე. დამრჩა ხუთი ბატალიონი, კიდევ ორი სხვაგან გავგზავნე და დამრჩა სამი ბატალიონი. ახლა კი მივწერე დევრიშ-ფაშას, რო ამ სამი ბატალიონით წინ ვერ გავიწევი, ისევ აქ გავმაგრდებითქვა და ვიყავი. მაგრამ ბოლოს მაინც ეჭვი ჰქონდათ, კაცები მოდიოდნენ, ჩამასმინეს: იმას რუსისაკენ უჭირავს თვალიო და მეტი არ შემეძლო, ცოლ-შვილი არტაანში გავგზავნე მე კი ახალციხეში გამოვიპარე.

ოსმალთა ბატონობისგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე შავშეთის მმართველმა ნური ხიმშიაშვილმა. სამწუხაროდ, აქაური პრივილეგირებული წოდების ზოგიერთი ბოლომდე ერთგული დარჩა სულთნის მთავრობისა. მათ შორის იყვნენ ქობულეთელი ბეგები, ძმები ოსმან და ალი თავდგირიძეები.

აჭარის მოსახლეობა, მცირერიცხოვან ფანატიკოსთა გამოკლებით, რუსეთის არმიას სიმპატიითა და პურმარილით ხვდებოდა. ამის თაობაზე გაზეთი „დროება“ გადმოგვცემს: „თითქმის დღე არ გაივლის, რომ ქობულეთითგან არ მოვიდნენ ჩვენს ბანაკში... უბრალო მცხოვრებლები და არ მოიტანონ კარაქი, ერბო, გამომცხვარი პური და სხვა ხორაგეული და ხილეულობა. რამდენიმე საათს რჩებიან ხოლმე ჩვენს

ბანაკში, დიდი სიამოვნებით გვემასლაათებიან (გვესაუბრებიან) სხვადასხვა ამბებზე და მერე მეგობრულად გვშორდებიან და მიდიან.

საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ აქაური მოსახლეობა მასობრივად გადადიოდა თურქეთის მხარეს. მაგალითად მუხაესტატეს აღების შემდეგ (1877 წ. 13-25 აპრილი) ქობულეთელმა ყურშუმ ჭყონიამ თავისი რაზმი მიატოვა ალი და ოსმან-ფაშა თავდგირიძეების ბანაკი, გრიგოლ გურიელთან გამოცხადდა და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა. მეორე დღეს რუსეთის მხარეს გადავიდა ქობულეთელთა 150 - კაციანი რაზმი, რომელსაც ყ. ჭყონიას მეგობარი შერიფ - აღა მეთაურობდა.

კიდევ მეტი, მებრძოლებთან ერთად რუსეთის მხარეს გადადიოდა მშვიდობიანი მოსახლეობაც, სხვათა შორის, ოჯახებთან ერთად. მაგალითად, ომის წინ ქობულეთიდან გურიის სოფელ ბაილეთში 200-მდე კომლი ჩასახლებულა. ისინი მათივე თხოვნით სახალხო რაზმში ჩარიცხეს და ოსმალეთის წინაღმდეგ გმირულად იბრძოდნენ (მეგრელიძე, შ, 127). მაშინ ოსმალებმა აჭარლები მოღალატეებად მონათლეს და შეეცადნენ მშობლიური მიწა-წყლიდან მათ აყრას...

ომის პირველ პერიოდში (1877 წ. აპრილ-ივნისი) რუსთა არმიამ აქტიური შეტევითი ოპერაციები განახორციელა ფრონტის ყველა მიმართულებით. 1877 წელს მან დაიკავა ბაიაზეთი, ყაღზევანი, ხოლო ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად 6(18) მაისს აიღო არტაანი. ოსმალეთის არმიამ დიდი ზიანი განიცადა. მხოლოდ არტაანთან, რომელსაც 8-ათასიანი გარნიზონი იცავდა, ოსმალებმა 3 ათასი მებრძოლი დაკარგეს, ხოლო 300 კაცი ტყვედ ჩავარდა. არტაანის აღება იყო რუსეთის არმიის პირველი გამარჯვება 1877-1878 წლების ომში. ამ ოპერაციაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. მუსხელიშვილისა და მ. ამირეჯების საჯარისო შენაერთებმა.

რუსთა შეტევის შეჩერების მიზნით ოსმალეთმა 1877 წელს აპრილის დამლევს აფხაზეთში გადმოსხა დესანტი (2000 კაცი) და ამ მხარის თითქმის ნახევარი დაიკავა. მაგრამ, იმავე წლის ივლისში იგი სასტიკად დამარცხდა მდინარე მოქვთან. 20 აგვისტოს სოხუმიც გაანთავისუფლეს და აფხაზეთის ტერიტორია ოსმალებისგან გაწმინდეს. 1877 წელს შემოდგომაზე კახეთში დაბანაკებულმა რუსეთის ჯარმა, გენერალ ს. ანდრონიკაშვილის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ჩეჩნეთისა და დაღესტნის მოლაშქრეები, რომლებიც ოსმალეთის დასახმარებლად ჩრდილოეთიდან დაიძრნენ. ომის მეორე პერიოდი (1877 წ. ივნის - სექტემბერი) რუსთა არმია თავდაცვაზე გადავიდა. აქტიური საბრძოლო ოპერაციები შეჩერდა. ორივე მხრიდან

მიმდინარეობდა ძალების მოკრება ახალი შეტევისთვის. საომარი მოქმედებები განახლდა 1877 წ. ოქტომბერში. 6(18) ნოემბერს კი, ათი დღის გააფთრებული ბრძოლის შედეგად, რუსთა ჯარმა ლორის - მელიქოვის სარდლობით აიღო ყარსი. აქ თავგანწირულად იბრძოლეს ახალციხისა და თიანეთის სახალხო მოლაშქრეებმა. ოსმალებმა დაკარგეს 2500 ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვეთა სახით 17 ათასი კაცი, მათ შორის 5 ფაშა და 800 ოფიცერი. რუსეთის დანაკარგი მოკლულთა და დაჭრილთა სახით არ აღემატებოდა 2 ათას მებრძოლს.

სულ სხვა სურათი შეიქმნა ბათუმის მიმართულებით, ფრონტის ამ უბანზე ოსმალთა არმია 40 ათას კაცს ითვლიდა. მას უპირისპირდებოდა რუს-ქართველთა 25 ათასიანი ჯარი. აქ შედიოდნენ როგორც რეგულარული სამხედრო შენაერთები, ისე სახალხო მოლაშქრეები. სერგეი მესხი, რომელიც გიორგი წერეთელთან ერთად ახლდა რუს-ქართველთა არმიას, წერდა; ხუთი ათას კაცამდინ არიან მარტო მილიციონრები ჩვენის მხრით გაყვანილი ბრძოლის ველზე; ისინი, რა თქმა უნდა, იომებენ, დანარჩენი ხალხი კი, სამხედრო კანონების ძალით, ბრძოლაში ვერ გაერევა, და შეუიარაღებელ ხალხს უფლება არ აქვს ხელი გაანძრიოს მტრის წინაღმდეგ" (მესხი, ს.1963, 310-311). 1877 წ. 12(24) აპრილს, განთიადისას რუს-ქართველთა ჯარმა გაარღვია ოსმალეთის დაცვა. შეტევაზე გადავიდა ოსმალეთის რაზმის სამი კოლონა: წმ. ნიკოლოზის საგუშაგოდან (შეკვეთილ-ნატანებიდან) - მარჯვენა კოლონაა, რომელსაც პოლკოვნიკი ი. აბაშიძე მეთაურობდა. შუათანა - გენერალ-მაიორ შელემეტიევის წინამძღოლობით ოჩხამურისაკენ დაიძრა. ხოლო მარცხენა კოლონა გენერალ-მაიორ დანიბეგოვის (დანიბეგაშვილი) მეთაურობით კურსი აიღო მდინარე ჩოლოქის საგუშაკოსკენ. რუს-ქართველთა ჯარმა უეცარი დარტყმით დაიკავა ქობულეთი და ოჩხამური. 13(25) აპრილს ლეღვა, ხოლო 14 (26) აპრილს მუხაესტატეც გაანთავისუფლა. 16(28) მაისს რუს-ქართველთა ჯარმა გაანთავისუფლა სოფელი სამება და დაიკავა სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი მაღლობი სოფ. ზენითთან, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლო.

ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს სახალხო რაზმელებმა. ბ.კოლუბიაკინის ცნობით, ისინი ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ და ბრძოლის სიმძიმე თავიანთ მხრებზე გადაიტანეს. გაბედულებითა და თავგანწირული ბრძოლით მათ რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები განცვიფრებაში მოჰყავდათ. მეომრები აღტაცებული დარჩნენ, როდესაც გურიის დრუჟინის მეოთხე ასეულის წევრმა,

ყირიმის ომის სამი ორდენის კავალერმა, გოგუაძემ ბრძოლის ველზე 14 წლის ვაჟიშვილი გამოიყვანა. შემტევი ნაწილები ციხისძირთან ოსმალეთის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მართალია, ფრონტის ამ მონაკვეთზე ოსმალებს ძალთა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ამავე დროს რუს-ქართველთა წინსვლა შეაფერხა იმანაც, რომ რუსეთის სამხედრო სარდლობას ციხისძირისა და მისი მიდამოების შესახებ ზუსტი ტოპოგრაფიული მონაცემები არ გააჩნდა. 1877 წ 11 (23) ივნის შეტევა ციხისძირთან წარუმატებლად და ამავე დროს დიდი მსხვერპლით დამთავრდა.

მართალია, 1877 წლის საბრძოლო ოპერაციების დროს რუს-ქართველთა ჯარმა ბათუმი და აჭარა ვერ გაანთავისუფლა, მაგრამ ბრძოლის ბედი იმავე წლის შემოდგომაზე გადაწყდა. რუსეთის არმიამ დიდი საბრძოლო წარმატებანი მოიპოვა ანატოლიაში. მან ოსმალეთი ბალკანეთშიც დაამარცხა. გააფთრებული ბრძოლის შედეგად 1877 წლის 28 ნოემბერს (10 დეკემბერი) რუსთა არმიამ აიღო ბალკანეთის უპირველესი ციხესიმაგრე პლევნა და საფრთხე შეუქმნა უშუალოდ კოსტანტინეპოლს. მიუხედავად ამისა, კავკასიის არმის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა საბრძოლო ოპერაციების განახლება ბათუმის მიმართულებით. საამისო სამზადისსაც შეუდგნენ. 1877 წ. 15 ნოემბერს რუს-ქართველთა შენაერთებმა გენერალ-მაიორ დანიბეგაშვილის მეთაურობით სოფელი ხუცუბანი მეორედ დაიკავეს. ციხისძირთან მეორე შეტევა 1878 წ. 18 (30) იანვარს დაიწყო. რუს-ქართველთა მოწინავე ჯარი სამი კოლონიისგან შედგებოდა. ეს ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა. აქ რუსებმა დაკარგეს ერთი გენერალი (შელემეტიევი), 44 ოფიცერი და 1260 ჯარისკაცი. 1877-1878 წლების ბრძოლების დროს ქობულეთის მხარე მთლიანად გადაიბუგა, მოსახლეობის ნაწილი დაიხოცა, უმრავლესობა უსახლკარო დარჩა და თავშესაფარი სხვაგან გამონახა. გ.წერეთელი წერდა: „...აქა-იქ შიმშილით მოწაწკანე ძაღლები ნაოხარ სოფლებში დაწოლილიყვნენ, თითქოს იქ სურდათ სამარის გათხრა ძველი პატრონისთვის ერთგულების დასამტკიცებლად ".

ქობულეთლები 1878 წელს. (დიმიტრი ერმაკოვის კოლექციიდან)

ანატოლიასა და ბალკანეთში განცდილი დამარცხების შემდეგ ოსმალეთს საომარი მოქმედების გაგრძელების უნარი აღარ შესწევდა. ასეთ ვითარებაში მან რუსეთს ზავი შესთავაზა. 1878 წ. 19 (31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. 9 (21) თებერვალს ოსმალეთმა დათმო ერზერუმიც. რომელიც რუსეთის მიერ ალყაშემორტყმული იყო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და აქაც 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) ორივე მხარემ ზავს ხელი მოაწერა. ამ ხელშეკრულებით აღიარეს სერბიის, ჩერნოგორიის, რუმინეთის დამოუკიდებლობა. ბულგარეთის ნაწილს ავტონომია ეძლეოდა ოსმალეთის მფლობელობაში, ხოლო მეორე ნაწილში დამოუკიდებელი სამთავრო იქმნებოდა.

ოსმალეთს რუსეთის სასარგებლოდ დიდი კონტრიბუციაც დაეკისრა- 1410 მლნ. რუბლი. მას კი, ფინანსური სიძნელეების გამო, ამ თანხის გადახდა არ შეეძლო. ამიტომ იგი, ნაწილობრივ, ტერიტორიის დათმობით შეიცვალა. აზიაში რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა ყარსი, ბაიაზეთი, ერზერუმი, ალაშქერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელი, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი. ეს ტერიტორია მდინარე

ჩოლოქიდან იწყებოდა და მდინარე ხოფამდე და სოღანლუღის მთებამდე გადიოდა. ევროპაში რუსეთმა ბესარაბიის ნაწილი დაიბრუნა, რომელიც ყირიმის ომის შემდეგ დაკარგა. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით დადგინდა რუსეთის მფარველობაში გადასული მოსახლეობის მუჰაჯირად წასვლის სამწლიანი ვადა. რუსეთს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლის საშუალება ეძლეოდა.

რუსეთის ამ მიღწევებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. მათ რუსეთის წინაღმდეგ გააჩაღეს ცივი ომის ახალი კამპანია, რომელშიც ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ამით წაქეზებული ოსმალეთი შეუდგა ახალი ომისთვის სამზადისს. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებით დათანხმდა ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ. 1(13) ივნისი- 1(13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ტრაქტატით რუსეთი ოსმალეთს უბრუნებდა ბაიაზეთს, ერზერუმს, ალაშქერტს; ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად ცხადდებოდა. სამაგიეროდ, კონგრესმა დაადასტურა რუსეთის შემადგენლობაში - აჭარა, ქობულეთის, არდაგანის, ყარსის, კოლა-არტაანის, აჭარა-ტაო-კლარჯეთის, შავშეთ-იმერხევის, ლაზისტანის ნაწილის, აგრეთვე ბესარაბიის გადასვლა (სურგულაძე აბ, სიორიძე ემ. 1996). ეს ქართული მიწები კვლავ დაუბრუნდა დედა სამშობლოს საქართველოს. სულ 21 393 კვ. რაც მთელი საქართველოს მესამედზე მეტს უდრის. ტრაქტატის მიუხედავად, ოსმალეთი აჭიანურებდა რუსეთისათვის აჭარისა და ბათუმის გადაცემას. ამ საკითხზე ქუთაისში 1878 წ. აგვისტოში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლობას შორის მოლაპარაკებაც გაიმართა. რუსეთის სარდლობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად ოსმალები იძულებულნი გახდნენ აჭარა დაეტოვებინათ.

ქობულეთში რუსეთის არმია 17 (29) აგვისტოს შემოვიდა. წინ მიუძღოდა გურიის სახალხო ლაშქარი. ადგილობრივი მოსახლეობის სახელით მათ მგზნებარე სიტყვით მიმართა გულო კაიკაციშვილმა: „ჩვენო ქართველებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ ჩვენი ძველი ძმები...აქ ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შეისრულა, ღმერთმა შეგვაერთა. ძმებო ძია კაცებო და ჩვენო საყვარელო ქართველებო, გისურვებთ მშვიდობით შესვლას ბათომის

ქალაქში. ღმერთმა გააძლიეროს ქართველი მხედრობა (სურგულაძე, აბ,1973, 3-4).

ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შემოვიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთიდან - კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით, 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) - ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით, გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2(14) სექტემბერს ზემო აჭარიდან-გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით. მათ მოუძღოდა შემოერთებული მხარის მოსახლეობის დეპუტაცია ზემო აჭარიდან შერიფ ხიმშიაშვილის, ხოლო შავშეთ-იმერხევიდან- ნური ხიმშიაშვილის მეთაურობით. 1878 წ. 2(14) სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ მათთვის აზიზიეს (დღეს ზვიად გამსახურდიას ქუჩა) მოედანზე სადილი გამართა. გაზეთ „დროების“ კორესპოდენტის სიტყვით, ტოლუმბაშობა იკისრა გენერალმა ხიმშიაშვილმა (შერიფ ბეგმა), რომელმაც თავისი მახვილობით და აჭარული ბეგობით მთელი იქ მყოფელების მადლობა დაიმსახურა... ბოლოს შეუდგა სხვა სადღეგრძელოებს და დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: ,, ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა! ვისურვოთ იმათი ბედნიერება და სიცოცხლე! არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლებისგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და ვაჟკაცობა“.

ოსმალთა ბატონობისგან ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გამთლიანების გზაზე არსებითი გარდატეხა მოხდა. აღფრთოვანებული ი. ჭავჭავაძე 1879 წ. წერდა: შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ღირსახსოვარია: ჩვენი ძმები ჩვენი სისხლი ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო,- დღეს ჩვენ შემოგვიერთდა (ჭავჭავაძე, ი.1955;18). ამასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა თბილისში მუხრანსკის სასახლეში 1878წ 20. ნოემბერს (2 დეკემბერს). ბანკეტზე მგზნებარე, ღრმა პატრიოტიზმით გამსჭვალული სიტყვები წარმოთქვეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, სერგეი მესხმა, ხუსეინ ბეჟანიძემ და სხვებმა. მოწოდებასავით გაისმა აკაკი წერეთლის სიტყვები „დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!... ეს ანდერძი იყო: დედა ენა და ერთობა. შეხვედრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველების სულიერი და ფიზიკური ერთობის

განმტკიცებაში, მათ ეროვნულ გათვიცნობიერებაში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, შერიფ ხიმშიაშვილი თავის წერილში „გულწრფელი აღსარება“ წერდა. რომ ქართველმა საზოგადოებამ, მისმა მოწინავე რაზმმა, ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასოდეს დავივიწყებ ჩემს დღეობაში მე იმათ დიდ მოვალეობას, წრფელ კაცთმოყვარეობას და მიღებულობას“.

დედასამშობლოსთან დაბრუნების შედეგად შემოერთებული მხარის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ქართველი ხალხი ჩადგა მისი აღორძინების სამსახურში.

თავი III. მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

სამხრეთ საქართველო ის რეგიონია, სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, პირველად გავრცელდა ქრისტიანობა და უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ. სწორედ აქ ჩაეყარა ერთიან ფეოდალურ სამეფოს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალადაა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე აქტუალურია იმ პროცესების ღრმა ანალიზი და თანმიმდევრული მეცნიერული შესწავლა, რომლებიც ამ მრავალტანჯულ კუთხესთანაა დაკავშირებული.

ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ ის ისტორიული პროცესები, რომელმაც გამოიწვია, მოსახლეობის ერთი ნაწილის მშობლიური ადგილებიდან წასვლისა თუ გაუცხოების პრეცენდენტები. სახელმწიფოებრივი ძლიერების შესუსტება და დღესდღეისობით ჩვენი ქვეყნის საზღვრის პირა რაიონებში ნელი მოქმედების ნაღმი დაგვიტოვა. მრავალი ასწლეულის მანძილზე საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის მკვიდრებს არაერთხელ მოუხდათ უცხოეთში გადასახლება. სამხრეთ საქართველოდან მასობრივი გადასახლების ფაქტებს მე-16 ს-ში ასახელებს ზ. ჭიჭინაძე. ამგვარი მოვლენებისგან გამოირჩევა მე-19 ს, როდესაც რუსეთ-თურქეთის მწვავე წინააღმდეგობების შედეგად დაიწყო ხანგრძლივი და მასობრივი ემიგრაციული პროცესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მუჰაჯირობის სახელით. რუსეთის ჯარის საბრძოლო ოპერაციების შედეგად, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირდა ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯგუფებად გადასვლა როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ამის მიზეზი კი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. უნდა ითქვას რომ აჭარის მშობლიურ წიაღში მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ დაბრუნების, მუჰაჯირობის დამღუპველი პროცესის შერბილების საქმეში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მთავარი როლი შეასრულა, ქართული ინტელიგენციის ე. წ. 60-იანელების დაუღალავმა პატრიოტულმა საქმიანობამ და ამის წყალობით ქართულ საზოგადოებაში აღორძინებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ.

სწორედ, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით 1879 წ. შემოდგომაზე მთავრობამ გააუქმა აკრძალვა და ბათუმის ოლქიდან გადასახლებულთ დაბრუნების

უფლება მისცა. ამას „კარგი ზემოქმედება ექნება, - გახარებული წერდა გაზ. „დროება“, - ხალხი დამშვიდდება, დაწყნარდება და ოსმალო ჩინოვნიკების ტყუობას დაინახავს, მიწა-წყალს მოეკიდება და მშვიდობიანად ცხოვრებას და მამულის დამუშავებას შეუდგებაო“. დაბრუნებაზე აკრძალვის გაუქმება ქართული საზოგადოებრივი აზრის გამარჯვება იყო (მეგრელიძე შ, 1963; 70). ცხადია ამ უფლებით ბევრმა თანამემამულემ ისარგებლა, რამაც პარტახად დაგდებული არა ერთი სახლ-კარი „გამოაცოცხლა“. ეს იყო უდიდესი ეროვნული მნისვნელობის ფაქტი. ამ თანადგომით აჭარამ აიცილა 30-იანი წლების მესხეთის სავალალო ხვედრი და მის მსგავსად არ დაიცალა მკვიდრი მოსახლეობისაგან.

აქვე საინტერესოა განვიხილოთ მუჰაჯირობის გამოწვევი შემდეგი მიზეზები. რუსული მმართველობის დამყარებით ახალი ერა დაიწყი აჭარის ისტორიაში. უდიდესი ცვლილებები განხორციელდა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში.

რუსეთისთვის მიუღებელი გახდა, იმპერიის ფარგლებში იმ ხალხის დატოვება, რომელიც, მათი აზრით შენელებული მოქმედების ნაღმი იქნებოდა. დ. ი. სვიატ-ოპოლკ-მირსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბათუმის ოლქში მცხოვრები ხალხის მიმართ სანამ არ მოხდება ჩვეული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება, მანამ ამ ტერიტორიის შეძენა, გაძლიერების ნაცვლად რუსეთის დასუსტების ტოლფასი იქნება. აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრა-გადასახლება 1878 წლიდან იწყება და ფაქტობრივად მოიცავს როგორც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების, ასევე კოსტანტინეპოლის ხელშეკრულებით დადებულ ვადებს. აქედან გამომდინარე გამოყოფენ მუჰაჯირობის ორი ძირითადი ეტაპს: 1). მუჰაჯირობის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდი და 2). კოსტანტინეპოლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი ვადები. მოყვანილი პირობითი პერიოდიზაცია, შეიძლება მართებულია იმ მოსაზრებითაც, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის სამშობლოდან აყრა-გადასახლების საქმეში წვლილი ორივე სახელმწიფოს მიუძღვის. მიუხედავად იმისა, თუ რომელი იმპერიის გავლენის სფეროში შედიოდა აღნიშნული რეგიონი. ბერლინის კონგრესის დადგენილებამდე სანამ გადაწყდებოდა აჭარის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემა, ოსმალეთის ხელისუფლება მოსახლეობას იარაღს აბარებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. მას შემდეგ, რაც

გარკვეული იქნა აჭარისა და ბათუმის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის საკითხი. ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლება. ამ მიზნით დერვიშ-ფაშას განკარგულებით 160 ცხენოსანი მოქმედებდა მხოლოდ ქობულეთში. ისინი ძალად მიერეკებოდნენ ხალხს ოსმალეთში. იცოდნენ რა ქართველი მუსლიმების დამოკიდებულება საკუთარი ოჯახისადმი, პირველად ბავშვებსა და ქალებს აგზავნიდნენ უცხოეთში, რომლებსაც შემდეგ მამაკაცებიც მიჰყვებოდნენ. ოსმალეთის მიერ მოსახლეობის ძალით წაყვანის ფაქტებს აშუქებს იმდროინდელი პრესა. ასე მაგალითად, ნური-ბეგ თავდგირიძეს უცნობებია გრიგოლ გურიელისათვის, რომ ოსმალები ძალად მიერეკებიან ხალხსო და დახმარება უთხოვია. გრიგოლ გურიელმა საამისოდ სასწრაფო ზომები მიიღო.

ა. ფრენკელი მოგვითხრობს რა ქობულეთელთა გადასახლების ამბავს. იგი წერს: ბათუმში ოსმალებმა დაძალებით საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხს მოუყარეს თავი, რომელიც თურქეთში გასამგზავრებლად იყო გამზადებული. მათში მიდიოდა ერთგვარი ბრძოლა, რაც სამშობლოს სიყვარულით და მოლების აგიტაციით იყო გამოწვეული. თუ ისინი დარჩებოდნენ მაშინ რწმენას უღალატებდნენ, მაგრამ თუ წავიდოდნენ სამშობლოს დაკარგავდნენ. ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში სამშობლოს სიყვარული იმარჯვებდა. მიუხედავად ამისა, მრავალი სოფელი ქობულეთში დაცარიელებული იყო ხალხისგან. ოსმალთა ასეთი საქმიანობის თავდაცვის მიზნით, აჭარის მკვიდრნი რუსეთის ხელისუფლებას მიმართავდნენ, ასეთი თხოვნით ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობის წარმომადგენლობამ, დიდ მთავარს, მიხეილსაც მიმართეს მაგრამ სერიოზული დახმარება მაინც არ გაწეულა, თუ არ ჩავთლით გარკვეულ გამონაკლისებს, რასაც ქართველ პატრიოტებს უნდა ვუმადლოდეთ. მოსახლეობა ოსმალთა ძალადობის მოგერიებას საკუთარი საშუალებებით ცდილობდა, რაც მკვიდრთა და ოსმალთა ჯარისკაცებს შორის შეტაკებებში გამოიხატებოდა.

ძალადობასთან ერთად ოსმალეთში, ადგილობრივთა გადაბირების მიზნით, ფართო მაშტაბის სააგიტაციო პროპაგანდა გაიშალა. ზ. ჭიჭინაძე შემდეგნაირად აფასებს ოსმალების ამგვარ საქმიანობას: „ქართველ მაჰმადიანებს წამქეზებლები, რომ არ ჰყოლოდა, ისინი თავიანთი მამულიდან ფეხსაც არ მოიცლიდენ“ (ჭიჭინაძე ზ, 42).1878 წ. გაზ. „დროება“ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ოსმალეთის მთავრობა გზავნის ბათუმში კომისიასა თუ ერთს აგენტს, რომელსაც მინდობილი ექნება, რომ

ფულითა და სხვა სახსარით გაუადვილოს გადასახლება .... იმ მცხოვრებლთ, რომელნიც ამ ქვეყნიდან ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ.. ოსმალეთი მსგავს საქმიანობას მომდევნო წლებში აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც განაგრძობდა. ასე მაგ, 1880 წ. გაზეთი „დროება“ წერდა „წლევანდელი მკაცრი ზამთრისა და სიძვირისგან ყველაზე უფრო მომეტებული ზარალი ამ ახლად შეძენილ მაჰმადიან საქართველოს მიეცა, რომელსაც ჯერ ვერ წამოეწია წელი განვლილი ომის შემდეგ, ხალხი დიდ გაჭირვებაშია და ამით ყველაზე უფრო ოსმალთა აგენტები სარგებლობენ: ისინი ავრცელებენ ხალხში აზრს, რომ ღმერთი ჰჯის იმ ქრისტიან ქვეშევრდომად დარჩენისთვის, რომ ოსმალეთში ისინი ერთი ათად უკეთესად იცხოვრებდნენ. ამგვარმა აგიტაციამ თავისი გააკეთა. ქვემო აჭარა მთლიანად გადასახლდა და ბევრი კიდევ აპირებდა წასვლას. სტამბულიდან მოსული მოლები და საზოგადოდ ოსმალოს მქადაგებლები, რომელნიც ეუბნებიან - წავიდეთ ოსმალეთში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებთ. გიაური მართლმსაჯული მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს“. მსგავს ფაქტებს მრავლად ჰქონდა ადგილი, რამაც შედეგი გამოიღო. ამ პერიოდისათვის მრავალი ჩვენი თანამემამულე უცხოეთში იქნა გადაკარგული. ეს ორივე იმპერიისთვის სარფიანი იყო. ალბათ, ამიტომ ოსმალეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა აჭარის დროულად დატოვებას და თავის მხრივ სავარაუდოა ისიც, რომ კუთხის მკვიდრთაგან მაქსიმალურად დაცარიელების იმედით, არც რუსეთი მიისწრაფოდა მისი კუთვნილი ტერიტორიების დაკავებისაკენ. 1878 წ. 25 აგვისტოს ბათუმი ოფიციალურად რუსეთის იმპერიას გადაეცა. აჭარაში რუსეთის არმიის შემოსვლას რაიმე ინციდენტები არ მოჰყოლია. დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ იმპერიის ნება გამოუცხადა - მასში ნათქვამია: 1). ადგილობრივი ოჯახები, რელიგია და ქონება ხელშეუხებელი რჩება. 2). რუსეთის მთავრობის მიმართ იგივე იქნება როგორც ოსმალთა ბატონობის პერიოდში. 3). მხარის ადგილობრივი მმართველობა უცვლელი რჩება. 4). გასახლების მსურველებს მიეცემათ ქონების გაყიდვის დრო და საშუალება. თუმცაღა რუსეთი მკვიდრთა ინტერესების დაცვის საბაბით საკუთარი დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას აპირებდა. პროფესორ მიხეილ სვანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეფის რუსეთის მთავრობა არ იყო დაინტერესებული ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქართველებისათვის შეექმნა ცხოვრების ნორმალური პირობები. პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობდა, აეძულებინა

ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში გადახვეწილიყო და განთავისუფლებულ ადგილებზე რუსი კოლონისტები დაესახლებინა და საზღვრის დასაცავად საიმედო დასაყრდენი შეექმნა. გადასახლების პროცესს ბიძგი ომისგან შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურმა პრობლემებმაც მისცა. ცნობილია, რომ 1876 წელს აჭარის მოსახლეობას ოსმალეთის მთავრობამ ორი წლის გადასახადები გადაახდევინა, ამას ომის დამანგრეველი მოქმედებაც დაემატა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. მაგ. ქობულეთის 20 სოფლიდან დანგრეული და გადამწვარი იყო ხუცუბანი, ქაქუთი, ციხისძირი და სხვ. საცხოვრებელი ბინების გარდა ჩანაგდებოდა ბაღები და სახნავ სათესი ნადელები. გაზ. „დროება“, გადმოგვცემს ზემო აჭარის 1878 წლის ამბებს. წერს, ზემო აჭარაში აღწერა ჩატარდა, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა აღწერილ სოფელთა მოსახლეობამ მეჯლისის წევრებს თხოვნით მიმართა, რომ ისინი ფიქრობენ ოსმალეთში გადასახლებას და ამიტომ ხელისუფლებამ გადასახადი არ გადაახდევინოს, რადგან უკიდურეს სიღარიბეში იყვნენ. მეჯლისის წევრებმა განუმარტეს, რომ ეს საქმე ბათუმის უფროს უკვე გადაუწყვეტია და მისი შეცვლა არ მოხდებაო. განრისხებულმა ხალხმა აღწერის შედეგები გაანადგურეს. ახალმა ხელისუფლებამაც ასევე დაიწყო ვაჭრობაზე ადრე დაწესებული საგადასახადო სისტემის და მოვალეობის შეცვლა. მისგან შემოსავლის გაზრდის მიზნით. 1879 წ. 27 ოქტომბერს იმპერატორის უმაღლესი ბრძანების თანახმად, ყარსსა და ბათუმში შემოიღეს ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც სასმელით, მარილითა და თამბაქოთი ვაჭრობას ეხებოდა. 1879 წლის დასაწყისისთვის კი კავკასიის არმიის უფროსის განკარგულებით, ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე ნატურალური გადასახადის მეათედის ნაცვლად ფულადი გადასახადი დაწესდა. საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა დამძიმებით, ფაქტობრივად იდეალური პირობა შეიქმნა აჭარის მკვიდრთ ოსმალეთში გადასასახლებლად. აღნიშნულ მოვლენას შემდეგნაირად აფასებს გაზ. „გოლოსი“. „ბათუმის ოლქთა გადასახლება სულაც არ იყო ნაყოფი მოლების აგიტაციისა. და ეს გარემოება ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელიც შეიქმნა 1877-1878წლების ომის შემდეგ. „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვითონ რუსეთის მმართველობამ აღიარა მხარეში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობები. ეს აქტი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. გარდა ამისა, რუსული მმართველობის დამყარებამდე, აჭარის მკვიდრთა გადასახლებაში დიდი როლი

აქაურ მკვიდრთა აგიტაციამაც ითამაშა. ასევე, მუსლიმანი დიდებულების მუჰაჯირობის მაშტაბების გაზრდას ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების მიერ იმ პენსიებზე უარის თქმამ, რომელიც მათ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჰქონდათ დანიშნული. როგორც ცნობილია, თანზიმათის შემდეგ ოსმალთა ბეგებს, რომელთა საკარგავები სახელმწიფო საკუთრება გახდა, პენსია დაუნიშნა. რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბეგები რომლებიც არ ისურვებდნენ ამ სამი წლის განმავლობაში აქ დარჩენას, ვერ მიიღებდნენ პენსიას, ხოლო ის ბეგები, რომლებიც დარჩებიან ჩვენი ხელისუფლების ქვეშ მივცემთ პენსიას, მაგრამ როცა გათავდება თავისუფალი გადასახლების ვადა. ბეგების რუსულ მართველობასთან ურთიერთობის საკითხში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიწისმფლობელობის საკითხის გარკვევას ენიჭებოდა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ადგილობრივი დიდებულები მიწის ნაკვეთებს მთავრობის მიერ გაცემული საადგილმამულო აქტების საფუძველზე ფლობდნენ. ეს უფლება მათ რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრების შემდეგ შეუნარჩუნდათ (მეგრელიძე შ, 37-38). მაგრამ, დიდებულთა კუთვნილი მიწების ფართობი არასოდეს არ ემთხვეოდა საბუთებში მოცემულ ნაკვეთის მოცულობას. რომლის მიზეზი იყო ის რომ, ბეგები და მოსახლეობის სხვა ფენები, გადასახადების შემცირების მიზნით, რეალურთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფართობს აჩვენებდა მიწისფლობელობის დოკუმენტში. ხელისუფლება კი პირიქით მხედველობაში მხოლოდ დოკუმენტით განსაზღვრულ რაოდენობას იღებდა (ავალიანი ა.1960; 80-82.).

აჭარის მოსახლეობის მუჰაჯირობის პროცესში თავისი უარყოფითი როლი ბათუმის პორტო-ფრანკოდ მოწყობამ ითამაშა. რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარი მრეწველობისა და ვაჭრობის დაცვის მიზნით საკმაოდ ეფექტური ზომები მიიღო, მაგრამ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისას ის აბსოლიტურ იგნორირებას უწევდა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის სავაჭრო, ეკონომიკურ წეს-ჩვეულებებსა და ინტერესებს. ისტორიკოსი ვლადიმერ სიჭინავა, რომელმაც პირველმა დაასახელა პორტო-ფრანკოს რეჟიმის მოქმედება აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად. წერდა: „ბათუმის ყველა გზა-ჯვარედინზე საბაჟოები ჩამოყალიბდა და გამვლელ-გამომვლელს პირადი მოთხოვნების უმნიშვნელო ნივთების გატანაც აუკრძალეს. პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი

მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები ხელს უწყობდნენ კიდეც შევიწროვებული მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას (სიჭინავა ვ, 1958; 97). როგორც ცნობილია, ნებისმიერ პოლიტიკურ დოქტრინას ცხოვრებაში გატარება, ანუ ხორცშეცხმა ესაჭიროება, რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გასატარებლად სამუსლიმანო საქართველოს იმპერიის ერთგულნი მსახურნი ძირითადად დაბალი რანგის ჩინოვნიკები მოევლინენ. ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... ხოლო სერგეი მესხი წერდა: კარგი გამგებელი, პატიოსანი ადმინისტრატორი და მოსამართლე თვით სასტიკ კანონსაც მსუბუქათ გაატარებს და ცუდი კი, რაც უნდა ლმობიერი კანონი იყოს, ხალხს ხეირს ვერ დააყრის, კანონის სიკეთეს ვერავის აგრძნობინებს. გაზ. „გოლოსის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, აჭარის მკვიდრთა ურთიერთობა მმართველობის წარმომადგენლებთან „გამარჯვებულის და დამარცხებულის“ ურთიერთობას მოგვაგონებდა. გაზეთი იქვე განაგრძობს, რომ დაბალი ჩინის მქონე ისე არ ჩაუვლიდა ადგილობრივებს, რომ თავი არ დაიკმაყოფილოს დაჯახებით ან შეგინებით. ასევე ბევრი დიდი ჩინის მქონე უფლებას აძლევს, თავისი ენა და ზოგჯერ ჯოხიც ადგილობრივი მოსახლეობის დასამცირებლად გამოიყენოს. აჭარის მკვიდრთა მშობლების აუგად მოხსენიება, წინაპართა საფლავების შებღალვა, აი რა იყო აქაური „ნაჩალნიკების“ მოღვაწეობის მიზანი. ...აფერუმ ჩვენს მოთმინებას, თორემ არ ვიცი რისი ღირსი არ არის ჩვენგან ეს ყორღანოვი“. - წერს გაზ. „დროება“-ში ოსმან ალაძე. მოხელეთა ამგვარი საქმიანობა, რა თქმა უნდა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა აჭარელ კაცში და მას გადასახლებისკენ უბიძგებდა: ...ისე გვიყურებენ, ვითომ ჩვენ სრულებით უგნურები ვიყოთ, ამის გამო ჩვენ დავრჩით ობლად და ამისთვის აქ დარჩენას გადასახლება და დაკარგვა ვარჩიეთ.- წერდა გაზ. „დროებას“ აჭარის მკვიდრი. სამართლიანობისთვის უნდა ავღნიშნოთ, რომ აჭარაში მოღვაწეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთათვის უმთავრეს მიზანს მკვიდრი მოსახლეობის ბედი და მომავალი წარმოადგენდა, მაგრამ ცალკეულ პირთა თუნდაც თავდაუზოგავი და უანგარო მოღვაწეობა, ვერ შეცვლიდა იმპერიის პოლიტიკის მთავარ ხაზს. აჭარის მკვიდრთ ოსმალეთში გადასახლების გამომწვევი მიზეზების შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მიწითსარგებლობისა და მიწისმფლობელობის საკითხი. 1880 წლის მიწურულს

გაზეთი „დროება“ წერდა: „მთელ ბათუმის მაზრაში გავრცელებულია ხმა, რომ რუსის მართველობა არ მისცემს დაბალ ხალხს საკუთრების უფლებას მამაპაპეულ მიწა-წყალზედ, მთელ ხალხს ჩამოართმევსო მიწას და შერაცხს სახაზინოდ და ასარგებლებს ხალხს იჯარის წესით. ამაზედ საშინლად აღშფოთებულა ბათომის მაზრა... რომ ეს არის თავი და უპირველესი მიზეზი მათი ჩვენსდამი გულგრილობისა. იმ პირებს, რომლებიც გადასახლდნენ ოსმალეთში დარჩათ აქით უძრავი საცხოვრებელი და მიწა-წყალი, როგორც ამბობენ წასვლისას უმალ ჩამოართვა ადგილობრივმა მმართველობამ აქ დარჩენილებს და სახაზინოდ შერაცხეს. ახალმა ხელისუფლებამ ფართოდ დანერგა ამგვარი მიწების აუქციონიდან გაყიდვის პრაქტიკა. ბათუმის ოლქის 1910 წლის მიმოხილვაში ვკითხულობთ: „მიწის სახაზინოდ გადაცემამ გამოიწვია მოსახლეობის მღელვარება 60-იანი წლების დასაწყისში და როგორც ჩანს, გამოიწვია შემდეგ მცხოვრებთა მისწრაფება თურქეთში მასობრივი გადასახლებისაკენ, რაკი მკვიდრი მოსახლეობა, რომელმაც ვერ გაიგო რა ხელისუფლების ჭეშმარიტი მიზანი, დარწმუნებული იყო, რომ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მათ განკარგულებაში არსებულ მიწას ჩამოართმევდნენ. როგორც ცნობილია აჭარა, მისი რელიეფიდან გამომდინარე, სავარგულების ვარგისიანობის თვალსაზრისით, მცირემიწიან რეგიონებს განეკუთნება. ამიტომ მიწასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხი აქაურთა მიერ მეტად მტკივნეულად აღიქმებოდა (ბარამიძე, ი, 1999, 150). აქვე, უნდა შევეხოთ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმის საკითხს. მოყვანილი მასალიდან გამომდინარე ეს ფაქტორი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილზე ახდენდა გავლენას. არ შეიძლება მისი განზოგადება მოსახლეობის ფართო ფენებზე. გიორგი წერეთელის სიტყვებით რომ ვთქვათ: არც ერთი გურჯი არ თვლის თავს სასულიერო პირების ყურმოჭრილ მონად: არც ერთი გურჯი არ შიშობს, რომ დაივიწყებს თავის რელიგიას და იქცევა ქრისტიანად. თუ იყვნენ მათ შორის ასეთები, მოლებმა ისინი უკვე კარგა ხანია რუსეთის საზღვრის იქით გადაიყვანეს. გაზ. „დროება“ კი წერდა: „მუსლიმნები, ვთქვათ ფანატიკოსობენ და მიდიან, ქრისტიანებს რაღა მოუვიდათ, რომ ართვინიდან წლეულს ორასი კომლი აპირებს გადასახლებას. საზოგადოდ უნდა ითქვას, ქართულ მუსლიმანთა ემიგრაცია რელიგიური ხასიათის რომ ყოფილიყო, მაშინ ეს მხარეები რუსთა ძალაუფლების დამყარებამდე დაცარიელდებოდა. მით უმეტეს, საამისოდ საკმაოდ დიდი დრო იყო.

ქართველ მუსლიმანთა, გადასახლება (1877-1882 წწ) ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1878 წ. აგვისტოდან 1879წ თებერვლამდე. ამ პერიოდში მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი პორტას მოქმედება იყო. ძალისმიერი და იდეოლოგიური (მოლების, ოსმალო ემირების და მოსყიდული პირების მიერ გადასახლებისაკენ მოწოდება). 2). მუჰაჯირობის მეორე პერიოდი ძირითადად, რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის ძალისხმევით წარიმართა, რომლის საამისოდ შემდეგნაირი პირობები შეიქმნა: ა) მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის იგნორირება და მისი შემდგომი გაუარესება: ომგადახდილი მოსახლეობისთვის დახმარებაზე უარის თქმა: გადასახადების ნაადრევად გაწერა, ადრე არსებული საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა შეცვლა ხაზინის შემოსავლის გაზრდის მიზნით. ბ) მუსლიმანი დიდგვაროვნების, ბეგების საკითხის მოუგვარებლობა; ბეგების სამსახურიდან ჩამოცილება: მათ კუთვნილ პენსიაზე უარის თქმა და საარსებო წყაროს მოსპობა. გ) პორტო-ფრანკოს რეჟიმის საკუთარი ინტერესების მაქსიმალური გამოყენება დ) იმპერიის ჩინოვნიკური აპარატის მოქმედება. ე) მიწისფლობელობის საკითხის მოუგვარებლობა.

უნდა აღინიშნოს რომ, აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობის დადგენა ძალზედ რთულდება საარქივო დოკუმენტების მონაცემთა სიმცირის გამო. მუჰაჯირობის წესის გათვალისწინებით, სამკვიდრებლიდან ამის გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და წერილობით უნდა გაეფორმებინა მისი წასვლის პირობები, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობა ასეთ გადაწყვეტილებას ფარულად ახორციელებდა. მიზეზი შემდეგი იყო, სამკვიდრებლის მონახულებამდე მათ არ სურდათ თავიანთი კარ-მიდამოს სხვისთვის გადაცემა, ირკვევა რომ ბევრმა მუჰაჯირმა მიაღწია დასახლების ადგილს რაც რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წყაროებში სრულადაც არ ასახულა. სამწუხაროდ შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ ცალკეული სოფლიდან წასულთა ზოგადი ციფრები.

საყურადღებოა საისტორიო ცენტრალურ არქივში გამოვლენილი ერთ-ერთი მოზრდილი დოკუმენტი, რომელიც ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებული ციფრობრივი მონაცემების გათვალისწინებით შედგენილია გენერალ-გუბერნატორის კომაროვის მიერ. დოკუმენტით ირკვევა რომ 1880 წლის ჩათვლით, ბათუმისა და აჭარაში მუჰაჯირთა რაოდენობა. ბათუმის ოკრუგიდან (ანუ ბათუმის, კინტრიშის და

გონიოს უბნებიდან) 1878 წლიდან 1860 წლის ჩათვლით 1813 ადამიანი წასულა.

აჭარის ოკრუგებიდან, რომელიც ზემო და ქვემო აჭარის ასევე მაჭახლისუბნებისგან შესდგებოდა, გადასახლებულა 12 351 ადამიანი.

ამრიგად, აღნიშნული საისტორიო დოკუმენტის მონაცემით, მხოლოდ 1878-1880 წწ. მუჰაჯირად წასულა 14-16 ათასი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ საბუთში აისახა სხვა ქვეყანაში გადასახლების ნებადართული ვადის მხოლოდ ერთი მონაკვეთი, ამასთან, რუსული ადმინისტრაციის პირობებში. სამწუხაროდ, დოკუმენტში არავითარი ცნობა არ არის ომის დასრულების დროს, დაშინებითა და ძალადობით მასობრივად წაყვანილთა თაობაზე. ასევე არაა ცნობილი ემიგრანტებისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვის შემდგომ პერიოდში გადასახლებულთა რაოდენობა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომის დასრულებისას და მუჰაჯირობისათვის ოფიციალურად ნებადართული ვადის გასვლის შემდეგ კიდევ ამდენი ადამიანი შეიძლება გადასულიყო მეზობელ იმპერიაში. ნათქვამის დასადასტურებლად მოგვეპოვება უამრავი ცნობა. ვ. ლისოვსკის ჩანაწერების მიხედვით, ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში ლტოლვილია 38 000 სული. ისტორიკოსი სიმონ ესაძე მუჰაჯირად წასულთა რიცხვს 21 500 სულით განსაზღვრავს. ამავე რიცხვს ასახელებს მოგზაური თ. სახოკია და ისტორიკოსი ვ. იაშვილი. გვიანი პერიოდის ცნობით, ოფიციალურად მუჰაჯირად წასულთა რაოდენობა 21 ათასს არ აღემატება, ხოლო ფარულად წასულებისა 10 ათას. ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა მერყეობს 21-38 ათას შორის. 1881 წ. რუსეთის მთავრობამ გააუქმა სამშობლოში დაბრუნების აკრძალვა, რადგან მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა (მეგრელიძე შ, 1964; 71-72). ეს ფაქტი დაუმალეს ოსმალეთში მცხოვრებ აფხაზებს. 1860-იან წლებში აფხაზები დასახლდნენ შემდეგ უბნებში: კალტიბაური, ყუშადიე ანუ ჩელტა, იმამიე ანუ სალიბაური, ბედენიე, ფეიზიე, სოუქსუ, იჯადიე, ფერიე, ადლიე, ნურიე და ა. შ. იმავე პერიოდიდან აფხაზები ცხოვრობდნენ, აგრეთვე გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქვში, ციხისძირში, ქობულეთში და სხვ. მოგვიანებით ქალაქის გაფართოების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ აჰყარა ცენტრალურ უბნებში მცხოვრები აფხაზები. მაშინ მათი ნაწილი ოსმალეთში გაბრუნდა, ნაწილი კი ბათუმის ახლომდებარე სოფლებს შეეხიზნა. 1882 წ 19 მარტის მოსახლეობის ერთ დღიანი აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 337 აფხაზი.

1879 წელს გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ-მირსკი ყურადღებას ამახვილებს თავისუფალი მიწების რაოდენობის შესაბამისად არაქართველთა ფართომაშტაბიანი შემოსახლების აუცილებლობაზე:„ჩვენ თურქეთში გადასახლებაში ხელი არ უნდა შეუშალოთ მუსლიმანებს არც პირდაპირ, არც ირიბად, - ნათქვამია დოკუმენტში,-რუსეთის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწები მოხვდეს მთავრობის განკარგულებაში. ამიტომაც, უნდა წავახალისოთ ადგილობრივთა წასვლა მუჰაჯირად“. ამის სანაცვლოდ ავტორი მოითხოვდა რუსების ჩამოსახლებას. აქვე აღნიშნულია, რომ მხარის სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს კოლონიზაციის გზით. თავდაპირველად ცარიზმი ცდილობდა მკვიდრი მოსახლეობის გასახლებას ან ასიმილაციას და დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა აქ რუსების დამკვიდრებას, მაგრამ მალარიის გამო გართულდა ადაპტაციის პროცესი. ამის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა არა ქართული ელემენტების ჩამოსახლება-დამკვიდრება. უცხოეთნიკური ელემენტები ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმში, გონიოსა და მის მიდამოებში. ეს მოსახლეობა ჭრელი იყო კონფესიურადაც. რაოდენობრივად ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი რუსები იყვნენ. ბათუმის ოლქში მათი ჩამოსახლების ფართო მაშტაბიანი გეგმის ჩაშლის მიუხედავად, ეს პროცესი მაინც გრძელდებოდა. ქალაქის გარდა ისინი სახლდებოდნენ მიმდებარე სოფლებშიც - ორთაბათუმში, მახინჯაურში, მწვანე კონცხის მიდამოებში, მდ. აჭყვასა და ოჩხამურს, შავ ზღვასა და მდ. ჩურუქსუს შორის. 1880 წ. ბათუმის 3500 მცხოვრებლიდან 895 იყო არაქართველი. ბათუმის ოლქში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა შორის რიცხოვნობით ყველაზე მეტი იყვნენ სომხები, ბათუმის ოკრუგში მათი დამკვიდრება უკავშირდება 1877-1878 წლების ომსა და ომის შემდგომ პერიოდს, ართვინის ოკრუგში კი ოსმალთა ბატონობის ხანას. სომეხთა მცირე ჯგუფი ბათუმში ადრეც ცხოვრობდა. ავტორთა ერთი ნაწილი 1872 წლისთვის აქ მიუთითებდა 120 სომეხს (სიჭინავა ვ, 1958; 110). ისინი იყვნენ გრიგორიანები, ნაწილი კი კათოლიკები. ართვინის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სომხები შეადგენდნენ. სომეხთა რაოდენობა ბათუმის ოლქში მკვეთრად გაიზარდა 1895 წელს ოსმალეთში მათი ე. წ. პირველი გენოციდის შემდეგ. მათ შორის ბევრი იყვნენ გამაჰმადიანებული სომხები, რომლებსაც ჰემშილებს უწოდებენ. გ. ყაზბეგის ცნობით, ჰემშილები მთის ლაზებს უფრო ჰგავთ, ვიდრე სომხებს, ლაპარაკობენ თურქულად და ლაზურად. ჰემშილები

აღწევდნენ ალპურ ზონაშიც, გოდერძისა უღელტეხილისა და ჩირუხის ალპურ საძოვრებზე დღესაც შეინიშნება მათი ცხოვრების კვალი.

ქართული ინტელიგენცია, უპირველესად ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვებიმუჰაჯირობას აქტიურად ჯერ კიდევ 60-იან წლებში უპირისპირდებოდნენ. ეს უკანასკნელი აფხაზი და ქართველი მუსლიმანების გადასახლების ფაქტს ოსმალეთისა და რუსეთის შეთქმულებად ნათლავდა, მათთან ერთად ადგილობრივ პროვოკატორებსაც აკრიტიკებდა, რომელმაც ადამიანები საკუთარ მიწებს მოწყვიტეს და ყოვლად გაურკვეველ სიტუაციაში ჩააგდეს.

ბუნებრივია ქართული ინტელიგენცია გამოეხმაურა ქართველი მუსლიმანების ბედს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. მუჰაჯირობას დიდი ილია „ტვინის შემარყევ ამბავს“ უწოდებდა. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები დიდი გულისტკივილით შემოიკრიბნენ ამ მეტად არასახარბიელო მოვლენის მსხვერპლთა ირგვლივ და მუჰაჯირობის მიზეზების გამოვლენისა და მისგან თავის დაღწევის ზრუნვა დაიწყეს.

პირველი ვინც გამოთქვა შიში მუჰაჯირობის შესახებ, იყო გრიგოლ ორბელიანი. მის მიერ დ. ი. მირსკისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: სირცხვილი ჩვენთვის, რომ ვით ჭირიანებს გაგვირბიან ხალხი! მაშ, ამდენ სისხლს რაღაზედ ვღვრიდით. აჭარის, კერძოდ კი მუჰაჯირობის საკითხს ფართოდ შეეხო ი. ჭავჭავაძე, ის მოუწოდებდა ქართველობას, გასაჭირში მყოფ აჭარლობას მიეშველოს და აგრძნობინოს, რომ ყოველგვარ ვარამში მათთან ერთად იქნება. ილიას ამ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუჰაჯირობის წინაღმდეგ გამართული მოძრაობის შემდგომი გააქტიურებისათვის. ქართულმა საზოგადოებამ გულისყურით დაიწყო ამ საკითხის თვალის დევნება. პრესაში თანდათანობით მატულობს წერილები მუჰაჯირობის პრობლემების შესახებ. თავის „მოგზაურობაში“ თედო სახოკია ფართოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას. ის განსაკუთრებით გამოყოფს თურქ მოლა-ხოჯების ნეგატიურ გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, თუმცა აქვე არ ავიწყდება რუსული ბიუროკრატიის მავნებლური „მოღვაწეობის“ კრიტიკაც (სახოკია, თ, 1985; 189). ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პარმენ ჭანიშვილი მუჰაჯირობის შესახებ იწყებს პუბლიკაციების გამოქვეყნებას გაზ. „დროებაში“. ავტორი განმარტავს რომ მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებს ზედ ერთვის თურქეთის მხარის მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც არ გამორიცხავდა

ძალადობასაც კი, რათა ადგილობრივი ხალხი ოსმალეთში გადაესახლებინა. ის ასევე აღწერს ოსმალეთში საცხოვრებლად მიმავალი ქართველების მდგომარეობას: „სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ამათი ყურება და შეხედულება. მოისმოდა ბავშვების ტირილ-კივილი...ეს იმას გამოხატავდა, რომ ისინი სამშობლო ქვეყანას ეთხოვებოდნენ და არ იცოდენ რა ექნათ. მისი აზრით მუჰაჯირობის დამღუპველ მიზეზთა შორის მუსლიმანური ფანატიზმიც თამაშობდა გარკვეულ როლს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი მწერალთა და პუბლიცისტთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც აჭარის საკითხი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად აქცია. იგი მუჰაჯირობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თურქ მოლა-ხოჯების ქადაგებას მიიჩნევს. ზ. ჭიჭინაძე მოითხოვდა, რომ აჭარაში არ შემოეშვათ ისინი: ესენი დიდ მტრობასა და სიძულვილს უნერგავენ ქართველების და ქართული ენის მიმართ, დაყველას იმას უქადაგებს, რომ თქვენს რჯულზე მაგრად იდექით და ოსმალეთისაკენ გადასახლებაზე იზრუნეთო... ასევე ის აღწერს მუჰაჯირთა მძიმე ცხოვრებას ოსმალეთში, და მათი დიდი ნაწილის ეპიდემიისა და სხვა მიზეზების გამო გზებში დაღუპვას, რადგანაც ამით სურს მაჰმადიან ქართველობას ხელი ააღებინოს გადასახლებაზე.

ქართველმა მწერლებმა, პუბლიცისტებმა, საზოგადო მოღვაწეებმა თავიანთი სიტყვით და საქმით შეძლეს მაჰმადიანი ქართველების შეგნებაში გარდატეხა მოეხდინათ, ეროვნული გრძნობა გაეღვიძებინათ მათში და დაერწმუნებინათ სარწმუნოების ხელშეუხებლობაში. მათი შრომა თანდათან იძენდა შედეგს. მაჰმადიანი ქართველობა იმედის თვალით მისჩერებოდა თბილისს, აქ მოღვაწე ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ჟურნალ გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა აჭარელთა წერილები, სადაც ისინი შველასა და მხარდაჭერას თხოულობდნენ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „მოყმის აღსარება“, რომლის ავტორია აჭარელი ახმედ-აღა ნადირაძე, მან კარგად იცის თავისი ქვეყნის ისტორია, იცის ფასი იმ სისხლისა, რომელიც დაიღვარა, რომელიც დაიღვარა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რის ფასადაც დაუბრუნდა საქართველოს აჭარა, მაგრამ რა გამოვიდა ახლა ეს კუთხე იცლება მოსახლეობისგან. ხალხი ოსმალეთში მიედინება. ახმედ - აღა შენიშნავს, რომ ხალხი შეშინებული და დაბეჩავებულია, ბევრი რამ აწუხებს, ბევრი რამ სტკივა, მაგრამ ისინი შიშით, რომ გააციმბირებენ ვერაფერს

ამბობს. თვითონ ავტორს, რადგან უკვე წასვლა გადაუწყვეტია აღარაფრის ეშინია და ახლა ყველაფრის თქმას ბედავს: „თუ ვინმეს გული გტკივათ ჩვენზედ, შეგვეწიეთ, რომ ამისთანა მმართველები მოგვაშორონ და შემდგომ ჩვენ დავუმტკიცებთ ქვეყანას, რომ ვიქნებით სასარგებლო მამულიშვილი. მტრულად ნურავინ მოგვექცევა, კაცობა გვაჩვენოს“.

თავი IV. პორტო-ფრანკო ბათუმში

მე-19 საუკუნის დამდეგიდან ბათუმით განსაკუთრებით დაინტერესდა რუსეთი, რომელიც კიდეც შეუდგა პრაქტიკულ სამზადისს მისი დაუფლებისთვის, ამის მიზეზი იყო ის რომ, შავი ზღვის სანაპიროზე რამდენადმე მოხერხებული ნავსადგური რუსეთს არ ჰქონდა.

უნდა ითქვას, ბათუმის ნავსადგურით საქართველო-ამიერკავკასიაში დიდძალი კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა, რადგან, პეისონელის სიტყვით, აქ „არ არსებობდა ზღვით შემოტანისა და გატანის ბაჟი“ უცხოურ საქონელთან კონკურენციაში კი რუსული ნაწარმი მარცხდებოდა, რაც დასავლეთ საქართველოში ცარიზმის გაბატონების საფრთხეს უქმნიდა.

რა თქმა უნდა, რუსეთს ბათუმი, უპირველესად მაინც, აინტერესებდა სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. საქმე ისაა რომ ბათუმი აკონტროლებდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს გზებს ამიტომ, თუ რუსეთი მას დაეუფლებოდა, მაშინ ოსმალთა თითქმის ყველა სამიმოსვლო გზის ფაქტობრივი გამგებელი იქნებოდა და მცირე აზიაში დაუბრკოლებლად შეიჭრებოდა. ამის გარდა ბათუმის

დაკარგვით ოსმალეთი დათმობდა უკანასკნელ ბაზას შავ ზღვაზე და ეს ზღვა საბოლოოდ გადაიქცეოდა „რუსეთის ზღვად“.

ქართველებმა არა ერთხელ სცადეს ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის დახსნა, მაგრამ უშედეგოდ და ამ დიდი ამოცანის გადაჭრა რუსეთს დაუკავშირეს. რუსეთს კი კავკასიაში საკუთარი დამპყრობლური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოკავშირეების შეძენის მიზნით, იგი მტრის კლანჭებისგან ქართული ტერიტორიების გამოხსნის ლოზუნგით გამოდიოდა.

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან უაღრესათ ხელსაყრელი მომენტი დაუდგა რუსეთს გეგმების განხორციელებისთვის. ეს 30-იანი წლებიდან აჭარაში გატარებული რეფორმების (თანზიმათი) შედეგი იყო. რუსეთის აქტიური გამოსვლა საქართველო-ამიერკავკასიაში აიძულებდა ოსმალეთს ინტენსიურად განეხორციელებინა ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში ქართველების საბოლოო დამკვიდრება, რასაც უნდა დაეჩქარებინა ამ კუთხის სრული გათურქება. ამან აამხედრა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. ასე რომ, საერთოდ, აჭარლობა რეფორმებით უკმაყოფილო დარჩა. ამის დადასტურება იყო 40-70- იანი წლების მღელვარება, რომელმაც თანზიმათის გაუქმების ლოზუნგით ერი და ბერი ოსმალეთის წინაღმდეგ ბრძოლაში გააერთიანა. რუსეთმა მაშინვე ისარგებლა ხელსაყრელი პირობებით, აჭარაში თავისი ემისრები გამოგზავნა და შეჰპირდა: გაბატონებულ წოდებას-ძველ უფლებებში აღდგენას, ხოლო გლეხობას-გადასახადების განთავისუფლებას და სხვ. ამან მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერა გამოიწვია რამაც რუსეთს გზა გაუხსნა აჭარაში. ამიტომ 1877 წელს ოსმალეთთან ახალი ომი გააჩაღა და მისი წარმატება იმდენად მნიშვნელოვანი დარჩა მცირე აზიასა და ბალკანეთის ფრონტზე, რომ ოსმალებმა ზავი ითხოვა.

1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოს ხელშეკრულებით რუსეთი მიიღებდა დიდძალ კონსტრიბუციას ფულად ან არტაანს, ბაიაზეთს, ბათუმს, ყარსს, და სხვ. იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ კი ბრძანა: „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი“.

პორტო-ფრანკო ბათუმში ოფიციალურად გაიხსნა 1878 წ 29 ოქტომბერს. ოფიციალური სტატისტიკური სამსახური ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვას, ზრდის მიუხედავად, მაინც არასაკმარისად მიიჩნევდა. საქმე ისაა, რომ თავად ასახელებდა ორ ფაქტორს, რომელიც მისივე მართებული შენიშვნით, ანეიტრალებდა

ნავსადგურის აქტიურობას: ჯერ ერთი თურქეთთან საზღვრების დაუდგენლობას და მის ჩაუკეტობას, რაც ხელსაყრელ პირობას ჰქმნიდა კონტრაბანდისთვის; და მეორეც, 1879 წლის მოუსავლიანობას და რეგიონის ეკონომიკური ცხოვრების საერთო დაბალ დონეს. მართლაც მუჰაჯირობის მიმდინარე პროცესმა შეზღუდა მიწათმოქმედება. სავარგულების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი დარჩა და შემცირდა მოსავლიანობა. გაღარიბებული მოსახლეობა იძულებული გახდა საკვებისთვის უფრო ეზრუნა, ვიდრე უცხოური საქონელი შეეძინა, აქ სავსებით გათვალისწინებულია, აგრეთვე, საკომუნიკაციო საშუალებების (გზები) მოუწესრიგებლობა და მუჰაჯირად მიმავალი აღელვებული მოსახლეობის გამო რეგიონში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობაც. შემდგომში კი ხელოვნური ბარიერების შემოღებამ ბევრი სიმახინჯე წარმოშვა. საქმე ისა, რომ უკიდურესად გართულდა სოფლის სავაჭრო ურთიერთობა ბათუმთან, რომელიც იყო რეგიონის უმნიშნელოვანესი ცენტრი - მოსახლეობა აქ არამარტო ყიდდა თავის ნაწარმს, არამედ იძენდა ფართო მოხმარების პროდუქციასაც. განსაკუთრებით აუტანელი დარჩა ე. წ. „კარახტინები“ (კარანტინები), სადაც ხდებოდა ნაყიდი და პორტო-ფრანკოს გარეთ გასატანი ნებისმიერი საქონლის დათვალიერება-შემოწმება. კონტრაბანდის მიკვლევის შემთხვევაში, იგი მაშინვე ჩამოერთმევოდა მეპატრონეს რომელიც ასევე დიდ ჯარიმას იხდიდა.

კონტრადმირალი გრევე 1880 წლის ზაფხულში ხელისუფლებას მოახსენებდა: „ გადასახლებაში (ე.ი.მუჰაჯირად) მიმავალი პირადად დავკითხე, თუ რა არის მთავარი მიზეზი. უმრავლესობამ თითქმის სიტყვა-სიტყვით მიპასუხა: როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ სოფლიდან მივდიოდით იქ ვყიდდით კვერცხს, რძეს, ყველს, თაფლს დაყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა, ხოლო ვყიდულობდით ქალაქში, რაც გვჭირდებოდა და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა მაგრამ ეხლა ყველა ისე გვჩხრეკენ, როგორც ქურდებს და რაც ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ყველაფერი ეს იმდენად აუტანელია, რომ ჩვენ უნდა გავეცალოთ აქაურობასო“ (სიჭინავა ვ, 1958; 100-101).

ამას ადასტურებს დავით კლდიაშვილიც, რომელიც კარგად იცნობდა აქ შექმნილ სიტუაციას. იგი წერდა: „პორტო-ფრანკობის დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო: ყოველი გამსვლელ-გამომსვლელი იჩხრიკებოდა; გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა...“ (კლდიაშვილი, დ, 1984. 119-120). ასეთ ვითარებაში გაუარესდა ადგილობრივი, განსაკუთრებით

სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა. იგი ისედაც უნდობლად იყო განწყობილი რუსული ხელისუფლებისადმი. ახლა კი ხელოვნური დაბრკოლების შექმნამ, გააღრმავა დაპირისპირებულობა და ხელი შეუწყო მის გადასახლებას (მუჰაჯირობას) ოსმალეთში. 1886 წელს ცარიზმა გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო.

პორტო-ფრანკოს ავ-კარგს აქტიურად გამოეხმაურა მე-19 საუკუნის 70-80- იანი წლების ქართულ-რუსული პრესა. ისინი აკრიტიკებდნენ მხოლოდ მისი მოწყობის ორგანიზატორულ პრინციპებს და მისგან გამომდინარე, ნეგატიურ მოვლენებს. ილიას სიტყვით: „პორტო-ფრანკო სახეირო დარჩა ორიოდე ვაჭრისა და თვით ქალაქში მცხოვრებთათვის“. „ქალაქიდან ორ ნაბიჯზედ შორს ფეხის გადადგმა არ შეიძლება ისე, რომ საბაჟო მზვერავთა ხელში არ ჩავარდნილიყო კაცი და ერთი დავიდარაბა არ ასტეხოდა...“

განსაკუთრებით მძიმე ვითარება რეგიონში შეიქმნა მას შემდეგ, რაც რუსეთმა ბრესტის ზავით (1918 წ.) ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები ოსმალეთის კუთვნილებად სცნო. რომელმაც 1918 წლის მარტ-აპრილში იარაღით დაიკავა ბათუმი და ზემოთ აღნიშნული ქართული პროვინციები. ოსმალთა ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად კი 1918 წ 15 მაისს მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით თბილისში ჩამოყალიბდა „სამუსლიმანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტი“. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ბათუმის დაბრუნებისთვის საქართველოში გააქტიურდა ჯერ კიდევ მის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამდე.

საგარეო სარბიელზე შექმნილი ვითარების გამო, ბრიტანეთის მთავრობამ მიზანშეწოლილად სცნო ბათუმიდან ღირსეულად წასვლა და ქალაქის გადაბარება საქართველოს მთავრობისთვის. 9 ივლისს კი გემებმა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარებით დატოვეს ბათუმი. მოკავშირეთა ძალების ბათუმიდან წასვლის მიზეზთაგან ერთ-ერთი იყო საქართველოს მთავრობის ანტიინგლისური პოზიცია. მთავარი კი რამაც ევაკუაცია განაპირობა იყო სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, რაც შეიქმნა შუა აზიაში ბოლშევიკების განმტკიცებისა და აზერბაიჯანის გასაბჭოების (1920 წლის აპრილი) შემდეგ. ამიერიდან ანტანტის პოლიტიკოსებმა უპერსპექტივოდ ჩათვალეს ბათუმიც კი; მით უმეტეს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მათ თვალში ნაკლებად სანდოდ გამოიყურებოდა.

ეს ყოველივე კი ნიშნავდა, რომ ანტანტის ქვეყნებმა ამიერკავკასიაში თავიანთ პოლიტიკურ ინტერესებზე უარი თქვეს. ბოლშევიკებმაც არ დააყოვნეს და 1921 წლის

თებერვალ-მარტში საქართველოს ანექსიით დაასრულეს ამიერკავკასიის გასაბჭოება.

საგარეო-პოლიტიკური სპექტრის თვალსაზრისით ორივე პორტო-ფრანკო დაწესდა ოსმალთაგან ბათუმის განთავისუფლების შემდეგ და ამ სტატუსის ავტორები იყვნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები, რომლებიც საკუთარი ინტერესებით მოქმედებდნენ; ამასთანავე, ორივე შემთხვევაში ბათუმს ევროპელი დიპლომატები განიხილავდნენ „რუსეთის პრობლემის ნაწილად“. გეგმავდნენ მის გამოყენებას ამ უკანასკნელის ძლიერების შესასუსტებლად. რაც შეეხება პრობლემის ეკონომიკურ მხარეს, პორტო-ფრანკოს ორივე ვარიანტი ითვალისწინებდა ბათუმის გადაქცევას შეუზღუდავი ტრანზიტის ნავსადგურად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ეს ჰქმნიდა თვით ქალაქის სწრაფი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივასაც, მაგრამ საქვეყნო ინტერესების თვალსაზრისით ამგვარ სტატუსს 1878-1886 წლებში არსებითი როლი არ შეუსრულებია. კოლონიური საქართველოსთვის „არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა სარგებლობა და არც მის არ ყოფნას ზარალი“ (ილია ჭავჭავძე). ამასთან მხედველობაშია მისაღები ის „გაჭირვება და შეწუხება“, რაც მის გამო ხალხს ედგა და რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მუჰაჯირობა ოსმალეთში.

დასკვნები

ქართველი ხალხი არასდროს არ შერიგებია უცხოელთა ბატონობის ქვეშ ყოფნას, ამასთან ერთად იბრძოდა კიდეც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, ოსმალთა ბატონობისგან თავის დასახსნელად. ამის გამოხატულება იყო 1877-1878 წწ რუსეთ-თურქეთის ბრძოლაში ქართველების მონაწილეობა, ომის წინ და ომის მსვლელობისას ქართველი ხალხიც ხალისით ქმნიდა რაზმებს, აჭარის მოსახლეობა მცირე რიცხოვანი ფანატიკოსების გამოკლებით რუსეთის არმიას სიმპათიით ხვდებოდა.

ანატოლიასა და ბალკანეთში განცდილი მარცხის შედეგად ოსმალეთს საომარი მოქმედებების გაგრძელების უნარი აღარ შესწევდა, აქედან გამომდინარე რუსეთს ზავი შესთავაზა. ოსმალეთს დაეკისრა ასევე კონტრიბუცია, რომლის გადახდის სანაცვლოდ რიგი ტერიტორიების დათმობა მოუხდა, საქართველოს უბრუნდებოდა ძველი ქართული მხარეების დიდი ნაწილი. ზავის პირობების წინააღმდეგ კი რიგი ევროპული ქვეყნები წავიდა და გაფორმდა ახალი ხელშეკრულება „ბერლინის ხელშეკრულების“ სახელწოდებით, რუსეთმა მაინც შეძლო სან-სტეფანოს ძირითადი მუხლების შენარჩუნება.

ოსმალო დამპყრობლისაგან ისტორიული მხარის გამოხსნა საკმაოდ რთული პროცესი იყო და სწორ პოლიტიკურ მიდგომას საჭიროებდა. მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა და წინაღმდეგობისა იმ დროინდელმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მოახერხა მოგზაურობა რეგიონში და იქ არსებული რთული სიტუაციის აღწერა, რომელიც გადმოსცემს მოსახლეობის ყოფა-ქცევას, ზნე-ჩვეულებას, ხალხურ სიტყვიერებას და სხვ.

ამ მოგზაურობის დროს გაირკვა აჭარისა და საერთოდ სამუსლიმანო საქართველოს დაბრუნების ბედი - ეს კი განსაზღვრა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის პოზიციამ.

რუსული მართველობის დამყარებით კი ახალი ერა დაიწყო აჭარის ისტორიაში, ცვლილებები განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. ამავე დროს თავი იჩინა დიდმა ტრაგედიამ, მუჰაჯირობის სახით. მუჰაჯირობის დამღუპველი პროცესის შერბილების საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად ქართულმა

ინტელიგენციამ შეასრულა გადამწყვეტი როლი. მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებს, კი რუსეთი-თურქეთის დამღუპველი პოლიტიკის სცენართან მივყავართ.

აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას, რომელიც ოფიციალურად 1878 წ. გაიხსნა, ხელოვნური ბარიერების შემოღებამ კი ბევრი სიმახინჯე წარმოშვა და უკიდურესად გაამწვავა სოფლის სავაჭრო ურთიერთობა ბათუმთან. პორტო-ფრანკოს რეჟიმს კარგად გამოხატავს ილია ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები; „არც პორტო-ფრანკოს ყოფნას მოჰქონდა სარგებლობა და არც მის ყოფნას ზარალი“.

ზუსტად სამი საუკუნე 1578 წლიდან 1878 წლამდე, სამხრეთი საქართველო-აჭარა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ლიგალი, ლაზეთი დამპყრობელთა ხელში იყო. ოსმალეთის პოლიტიკის მთავარი მიზანი კი იყო, ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა, აღმოფხვრა ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ყოველივე ქართულისა. მიუხედავად ამისა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ყველაფერს აკეთებდა, დაეცვა მშობლიური ენა და ამით შეენარჩუნებინა ქართული ენა. ამის გამოხატულებაა ის, რომ XIX ს. 70-იან წლებში ქართული ენა ისმოდა ბაიბურთიდან ტრაპიზონამდე, და მოსახლეობა შინაგანად გულანთებული იყო ქვეყნის გაერთიანებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავალიანი ა, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში , ბათ. 1960.
2. ახვლედიანი ხ, სახალხო-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1957
3. ბარამიძე ი, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 1999
4. ბაქრაძე დ, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987
5. ბექირიშვილი ი, ქრისტიანობა აჭარაში. თბ.,1991
6. ბექირიშვილი ი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბათ.,1982.
7. დიასამიძე ა, გრიგოლ გურიელი-საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისთვის მებრძოლი. - სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2016
8. დიასამიძე ბ, მეჩეთები ნაეკლესიარებზე-რელიგიური ვითარება -19 ს. აჭარაში.-ისტორიული ეტიუდები II, ბათ. 2016.
9. ვარდმანიძე ჯ, მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 2013
10. კლდიაშვილი დ, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 2013
11. მესხი ს, თხზულებანი სამ ტომად, ტ.2, თბ., 1963
12. მეგრელიძე შ, აჭარის წარსულიდან, თბ., 1964
13. მეგრელიძე შ, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956
14. მეგრელიძე შ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, 1963
15. სურგულაძე აბ, აჯანყება აჭარაში 1875-1876 წლებში.-აჭარის სოფელი,თბ.,1969
16. სურგულაძეაბ, სიორიძე მ, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996
17. სურგულაძე აბ, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973
18. სურგულაძე აბ, განმათავისუფლებელი მოძრაობიის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1978
19. სახოკია თ, მოგზაურობანი, თბ., 1985
20. სიჭინავა ვ, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
21. ყაზბეგი გ, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995
22. ფრენკელი ალ, ნარკვევები ჩურუქსუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ. თბ., 2012
23. შაშიკაძე ზ, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბ., 2011
24. ჭიჭინაძე ზ, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, თბ., 1913
25. ჭავჭავაძე ი, თხზულებათა სრული კრებული, I, თბ., 1955